№26(27) 5.07.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი


## ნომერში:

ამაზ ანთაძე:



ბილისი — თელავი — უვეიტი — თბილისი

მე-6 გვერდი

ეხვედრა ასმარალთან“

აზღვარგარეთ... ვიზოდ

მე-6 გვერდი

უტსაიდერის მეტამორფოზა

„კაიზერსლაუტერნი“ ემპიონია

მე-7 გვერდი


## „მრეტები“ უმაღლეს ჯგუფში

თბილისის „მრეტების“ საფეხბურთო კლუბმა ლონდუთში ანგარიშით 3:2 დაამარცხა ხაშურის „ფერაა“ და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ვულოცავთ!



„ვეხტა“ — „აია“ 16:8

# 4:2!



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ილია ბაბუნაშვილის რეპორტაჟი ამ ისტორიული მატჩის შესახებ იხილეთ მე-2 გვერდზე.

## ნოდარ ახალკაცის „ტაიმ-აუტი“

„სარბიელის“ წინა ნომერში გაცნობეთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე. რა მოხდა მერე? საქართელოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში მინისტრის პირველი მოადგილის მურთაზ მნათობიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა საგანგებო კომისია. როგორც ბატონმა მურთაზმა გვაცნობა, გუშინ გაიმართა ამ კომისიის სხდომა, შეიქმნა ოთხი ქვეკომისია, რომლებიც შეისწავლიან ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის „წვრილმანებს“. რაც შეეხება ნოდარ ახალკაცს, მან ჯანმრთელობის გაუარესების გამო, „ტაიმ-აუტი“ ითხოვა.



Dis...d Soviet Athlete Seeks Georgian Freedom

## „მე უფრო ჩემი ქვეყნის თავისუფლებაზე ვფიქრობ, ვიდრე პირად ჯანმრთელობაზე“

„ტრავმირებული საბჭოთა სპორტსმენი ილტვის საქართველოს თავისუფლებისაკენ“. ამერიკული გაზეთის „The Salt Lake Tribune“-ს 24 ივნისის ნომერში ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი 24 წლის ქართველ ფალავანზე გიგა რთველიაშვილზე, რომელიც აშშ-ში, სოლტ-ლეიკ-სიტის ცნობილ სამედიცინო ცენტრში — „დასავლეთის რეაბილიტაციის ინსტიტუტში“ მკურნალობს. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ წერილის ქსეროასლი, რომელიც ასოციაცია „იყალთო XXI“-ის მეშვეობით გიგას მამამ, ბატონმა ვასილმა მოგვაწოდა. წერილს თან ახლავს ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან გიგა რთველიაშვილი (წინა პლანზე), მისი ძმა ბესო, დედა — ქალბატონი მანანა და მკურნალი ექიმი მისტერ ბელიტონი.

„გიორგი რთველიაშვილს, — წერს სტატიის ავტორი, — ყოფილ ჩემპიონს ჭიდაობაში, რომელმაც ოთხი წლის წინ ხერხემლის მძიმე ტრამვა მიიღო, სურს ჩაებას თავისი რესპუბლიკის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. „ჩემი ფეხით უნდა გავიარო ბოლომდე, — ამბობს გიგა, — ისე, როგორც ჩემი ქვეყანა მიდის თავისუფლებისაკენ“.

შემდეგ წერილში აღწერილია გიგა რთველიაშვილის ამერიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებული ამბები, მკურნალობის დეტალები: „გიგას საქართველოში ხერხემლის ორი ოპერაცია გაუკეთეს. როგორც მისტერ ბელიტონი ამბობს, მისი პაციენტი კითხულობს სპეციალურ ლიტერატურას, ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე. თვითონაც და მისი ოჯახის წევრებიც ნებისყოფიანი ხალხია. დედა მანანა და 18 წლის ძმა ბესო დიდ იმედებს ამყარებენ ამერიკელ ექიმებზე. „დასავლეთის რეაბილიტაციის ინსტიტუტმა“ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო. გიგამ ჩაიცვა პროფესიული საკალათბურთო კლუბის „იუტა ჯაზის“ მაისური და ასე წარუდგა ჟურნალისტებს. მან ისარგებლა მომენტით, პოლიტიკაზეც ისაუბრა და მასპინძლებს მეგობრობის ნიშნად გადასცა ვერცხლის ხანჯალი. თითქოს უნდოდა ეთქვა — ამით დამიცავითო“.

„ვთხოვ ამერიკელებს, — თქვა ბატონმა რთველიაშვილმა, — მხარი დაგვიჭირონ ჩვენს ბრძოლაში. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერს ჩვენი მოსახლეობის 98 პროცენტი. იურიდიულად უკვე თავისუფლები ვართ, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია გვცნონ სხვა ქვეყნების მთავრობებმა. სამწუხაროდ, ჩვენს საქმეებში ერევიან იმპერიული ძალები და ხელს გვიშლიან სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში, არ ცნობენ რეფერენდუმის შედეგებს... მე უფრო ჩემი ქვეყნის თავისუფლებას ვესწრაფვი, ვიდრე პირად ჯანმრთელობას“.

გიგამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დიდ პატივს სცემს პრეზიდენტ ბუშს, როგორც ძლიერ, ჰუმანურ პიროვნებას. დარწმუნებულია, რომ მკურნალობა ნაყოფს გამოიღებს: „მე ამას შინაგანად ვგრძნობ“.

P.S. გუშინ ამერიკაში ტელეფონით დავუკავშირდით გიგა რთველიაშვილს და „სარბიელის“ მკითხველთა სახელით გამოჯანმრთელება ვუსურვეთ.

— დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის, — გვითხრა გიგამ, — მართალია, საქართველოსგან შორს ვარ, მაგრამ ინფორმაციას სისტემატურად ვღებულობ. საოცარი ხალხია ამერიკელები — თავს მევლებიან, ყურადღებას არ მაკლებენ. პალატაში მომინახულეს „იუტა ჯაზის“ კალათბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებმა, ხშირად მაკითხავენ ჟურნალისტები — ადგილობრივ პრესაში კიდევ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნეს. — მკურნალობას კარგი პირი უჩანს, ხელებში ძალა დამიბრუნდა, უოველდღე ვცურავ. მალე ფეხის ოპერაციას გამიკეთებენ. აქ, ალბათ, კიდევ ორი თვე დავრჩები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# აქა ამბავი ქართველთა საფეხბურთო ლაშქრობისა



## მატჩი №2

2 ივლისი. კიშინიოვი. მოლდოვა. კიშინიოვის რესპუბლიკური სტადიონი. 7 ათასი მაყურებელი (შემოსავალი გადაირიცხა საქართველოს სტიქიით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში).

მოლდოვას ნაკრები — საქართველოს ნაკრები — 2:4 (1:2).

მოლდოვა (ფორმა – ყვითელი, ლურჯი, წითელი). განლაგება მოედანზე – 1+4+3+3. შემადგენლობა: 1. კვასნიკოვი, 2. სეკუ (მე-60 წთ, ტესტიმიცანუ №14), 3. გუზუნი, 4. ს.სირბუ, 5. კარასი, 6. პარხომენკო (46-ე წთ, ხარია №13), 7. პ.სირბუ (77-ე წთ, რებეჟა №18), 8. კაპაცინა (46-ე წთ, კლეშჩენკო №19), 9. ნანი, 10. სპირიდონი (46-ე წთ, ოჟერენკო №17), 11. პროცენკო (მე-60 წთ, კირილოვი №15). მთავარი მწვრთნელი იონ კარასი. განაცხადში იყო ბონარაჟი №16.

საქართველო (ფორმა – თეთრი, თეთრი, თეთრი). განლაგება მოედანზე – 1+3+5+2. შემადგენლობა: 1. ჩხეიძე, 2. კუდინოვი, 3. ცხადაძე, 4. შელია, 5. გ. ჯიშკარიანი, 6. ცომაია, 7. ქეცბაია, 8. კილასონია, 9. ბიგვავა (59-ე წთ, მ.ჯიშკარიანი №15), 10. დარასელია, 11. ყიზილაშვილი (65-ე წთ, ყაველაშვილი №12). მთავარი მწვრთნელი გიგა ნორაკიძე. განაცხადში იყვნენ: ტყებუჩავა №13, მაჭავარიანი №14, გვასალია №16.

მსაჯები: ალექსანდრე გორინი, ანატოლი რიბაკი, გენადი კრასნოშანი (სამივე – კიშინიოვი).

გოლები: მე-5 წთ. ქეცბაია (0:1), მე-13 წთ. დარასელია (0:2), 27-ე წთ. სპირიდონი (1:2), 50-ე წთ. ხარია (2:2), 79-ე წთ. მ. ჯიშკარიანი (2:3), 88-ე წთ. ყაველაშვილი (2:4).

მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი საბჭოურს გამოეყო, სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს შორის არ ცხრება კამათი იმის თაობაზე, თუ რა დონეზეა დღეს ფეხბურთი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ჩვენი გუნდები კონკურენციას ვერავის გაუწევენ, მეორენი უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. კიშინიოვში მოლდოვასა და საქართველოს ეროვნული გუნდების მატჩი უწინარესად სწორედ ძალების შემოწმებას ისახავდა მიზნად. ცხადია, ამ შეხვედრის მნიშვნელობის გაზვიადებას არ ვცდილობთ, ისედაც კარგად არის ცნობილი, რომ მოლდოველებზე გაცილებით ძლიერი სპარინგ-პარტნიორებიც არსებობენ, მაგრამ ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისეც გილირდესო. ასეა თუ ისე, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ეს მატჩი შევა, როგორც საქართველოს ნაკრების პირველი გასვლითი საერთაშორისო შეხვედრა. მოლდოველთათვის ეს იყო ნაკრების დონეზე გამართული მესამე მატჩი. მათ ზედიზედ ორჯერ ითამაშეს რუმინეთის ოლიმპიურ ნაკრებთან და ორივეჯერ დამარცხდნენ. საქართველოს გუნდთან შეხვედრა მათთვის ეროვნული ფეხბურთის შემოწმება-განვითარებას ემსახურებოდა, რადგან მოლდოვაში საკლუბო გუნდები „შეზავებულნი" არიან მოწვეული ფეხბურთელებით, რაც, როგორც თავად მასპინძლებმა გვითხრეს, ადგილობრივ ფეხბურთელთა აღზრდას ერთგვარად აბრკოლებს.

### ვიდრე მატჩი დაიწყებოდა

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ბატონი გიგა ნორაკიძე შეფიქრიანებული იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ლანჩხუთელმა გოჩა ტყებუჩავამ თბილისში, ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და კიშინიოვში ვერ წამოვიდა, თუმცა განაცხადში მაინც შეიყვანეს. ამ ფაქტს თავისთავად უნდა გამოეწვია გარკვეული ცვლილებები თამაშის სქემაში. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ახლახან დამთავრდა, რაც გუნდის ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა. უცნობი იყო მოწინააღმდეგე, თუმცა მეტოქისათვის ასევე უცნობი იყო ჩვენი გუნდი.

### მატჩი

0 — 15 წთ. ცენტრიდან მოლდოველებმა დაიწყეს. საქართველოს ნაკრებმა პრესინგს მიმართა. ცდილობდნენ ბურთი მოედნის ცენტრში და მოწინააღმდეგის ნახევარზე ჩაეგდოთ ხელში. მე-3 წუთზე ყიზილაშვილი გუზუნის შეცდომის შემდეგ ეუფლება ბურთს, შედის საჯარიმოში და ურტყამს. მეკარე კვასნიკოვი უხერხულად ეუფლება მას. ეს იყო პირველი სახიფათო მომენტი (აქ მსაჯი აჩერებს თამაშს და მთელი სტადიონი წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს საქართველოში მიწისძვრის მსხვერპლთ). ისევ ქართველთა შეტევა. მოლდოველები მოედნის ცენტრს ვერ სცილდებიან. მე-5 წუთი. 25-27 მეტრიდან ქეცბაიას ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში იხსნება საქართველოს ნაკრების შეტევები გრძელდება, თუმცა იმავდროულად სუსტდება პრესინგიც. მეტოქე უკვე ახერხებს ჩვენს საჯარიმოსთან მიახლოებას. მე-13 წუთი. ბურთი მოლდოველთა საჯარიმოსთან ტრიალებს და დარასელიას დარტყმის შემდეგ კვეთს კარის ხაზს — 2:0.

მე-16 — 30-ე წთ. პრესინგი მოიხსნა, მასპინძლები უკვე იწყებენ კომბინაციებს, მათი გადაცემები ზუსტია, ბურთს უფრო ხშირად ისინი ფლობენ. პეტრე სირბუ სარგებლობს სტუმართა შეცდომით, მარცხენა მხრიდან შედის საჯარიმო მოედანში და მეკარესთვის ახლო კუთხეში ურტყამს. შესანიშნავად თამაშობს ნიკა ჩხეიძე. 26-ე წუთი. იგივე სირბუ ახლა ცხადაძის შეცდომით სარგებლობს და მის ძლიერ დარტყმას ბრწყინვალედ იგერიებს ჩვენი მეკარე. 27-ე წუთი. ისევ შეცდომა დაცვის ცენტრში, სპირიდონი მეკარესთან პირისპირ რჩება და ანგარიშში სხვაობას ამცირებს — 2:1.

31-ე — 45-ე წთ. ეს მონაკვეთი მოლდოველთა შეტევით იწყება. ჩხეიძე ეუფლება თავეურ დარტყმას. ჩვენები ცდილობენ კომბინაციური თამაშის აწყობას, მაგრამ გადაცემებში ცდებიან. 32-ე წუთი. სტუმრები ისევ ცდებიან, პროცენკო ურტყამს შეუჩერებლად, მაგრამ არაზუსტად. თამაშის სადავეები მასპინძელთა ხელშია. ჩვენი ნახევარდაცვა საჯარიმომდე თავისუფლად ატარებს მეტოქეს. სტიქიურად იქმნება სახიფათო მომენტები ორივე კართან. 44-ე წუთი. პირველი აშკარა უხეშობით აღინიშნა. გუზუნმა მოედნის ცენტრში ბიგვავა წააქცია, მცირე ხნის შემდეგ კაპაცინასთან ორთაბრძოლაში ჯარიმდება გია ჯიშკარიანი.

46-ე — მე-60 წთ. მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრების შეტევებით დაიწყო, თუმცა სახიფათო მომენტები არ შექმნილა. სამაგიეროდ, 50-ე წუთზე მოლდოველი კარასი მეტოქეთა საჯარიმოში დრიბლინგით შეიჭრა, ბურთი ხარიას გადააწოდა, რომლის დარტყმის შემდეგ წონასწორობა აღდგა — 2:2. ჩვენები კვლავ უზუსტოდ თამაშობენ, არ ჩანს ფეხბურთელი, რომელიც ხელთ იგდებს ბრძოლის სადავეებს. მოლდოველები გამუდმებით უტევენ, თუმცა მათ შეტევებს ბოლო ფაზაში სიმწვავე აკლია. ერთ-ერთი კონტრშეტევისას გია ჯიშკარიანი მარჯვენა ფრთიდან აწვდის მაღალ ბურთს, მაგრამ ყიზილაშვილი ვერ წვდება მას.

მე-60 — 75-ე წთ. ამ მონაკვეთში მეტოქეებმა ვერ ააწყვეს კომბინაციური თამაში. მრავალრიცხოვან გადაცემებს შედეგი არ მოჰყოლია.

76-ე — 90-ე წთ. თამაში „გაიხსნა". ასეთ დროს ინდივიდუალურმა ოსტატობამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს. 79-ე წუთი. ცომაია უხერხულ პასს აწვდის კუდინოვს, კუდინოვი ახალშემოსულ ჯიშკარიანს, რომელიც ეფექტურად ატყუებს მცველს და ზუსტი დარტყმით გზავნის ბურთს მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში — 3:2. თამაშის მიწურულს ჩვენები კვლავ აქტიურობენ. 88-ე წუთი. მიხეილ ჯიშკარიანისა და ყაველაშვილის „კედელი". ყაველაშვილი შედის საჯარიმო მოედანში და... 4:2.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს მეკარე ნიკა ჩხეიძე, მასპინძელთა შორის — გუნდის კაპიტანი სერგეი სირბუ.

### მატჩის შემდეგ

გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი და მოლდოველი ჟურნალისტებისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ მოლდოვას სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი გიორგი პოპოვიჩი, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელები და სხვა ოფიციალური პირები. ბატონმა პოპოვიჩმა გულთბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ მატჩს ესწრებოდნენ მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის წევრები.

იონ კარასი, მოლდოვას ნაკრების მთავარი მწვრთნელი: როცა ბიჭებს მატჩის წინ დავალებას ვაძლევდი, ვუთხარი — მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქართული ფეხბურთი იზოლაციაშია, არც იმას, რომ ქართველ ფეხბურთელთა უმრავლესობის გვარები უცნობია. საქართველოში ყოველთვის ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და თუ ფხიზლად არ ვიქნებით, უთუოდ დავისჯებით-მეთქი. საქართველოს გუნდის დღევანდელი გამარჯვება სწორედ ფეხბურთელთა მაღალმა ოსტატობამ განაპირობა.

გიგა ნორაკიძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვინაიდან მოლდოველთა გუნდზე ბევრი არაფერი ვიცოდით, გადავწყვიტეთ მეტოქისთვის თავს მოგვეხვია თამაშის ჩვენეული ვარიანტი. თავიდან ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს, თუმცა მერე უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა. მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა, ჩვენები ისევ გააქტიურდნენ. გაამართლა შეცვლებმაც...

ილია ბაბუნაშვილი,
„სარბიელის" სპეც. კორესპონდენტი
კიშინიოვი.

რაგბი

# ნახევარფინალის მოლოდინში

მომდევნო სეზონში ეროვნული ლიგა ცხრიდან ათ გუნდამდე რომ გაიზრდებოდა, წინდაწინ იყო ცნობილი, 30 ივნისს კი გაირკვა — იქ სამის ნაცვლად უკვე ხუთ ქალაქს ეყოლება გუნდი: თბილისს, ქუთაისს და ჭიათურას რუსთავი და ჩოხატაური დაემატა.

ამერის ლიგის გამარჯვებულმა „რუსთავმა" გამოცდილი მორკინალების — კაკაბაძის, ქერტყოევის და ბებიაშვილის, აგრეთვე შერკინების ნახევარმცველის, ხუციშვილის წინამძღოლობით სძლია წყალტუბოს „სათაფლია" — 28:12 (ექვსი საჯარიმო შეაგდო კახა ვასაძემ). თბილისის „მარიხმა" უბრძოლველად დაუთმო ეროვნულ ლიგაში თამაშის უფლება ჩოხატაურის „ჯანს".

ოთხეულს მიღმა დარჩენილმა გუნდებმა პირველი ტური ჩაატარეს. „იმერეთისა" და „ყოჩების" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 12:12; პირველად გაიმარჯვა „აკადემიამ" — 21:12 მოუგო „მიმინოს". ბოლო ადგილის ბედი ალბათ ბოლო ტურში, „აკადემია" — „რაშის" თამაშის შემდეგ გაირკვევა.

ოთხეულმა კი ბოლო რვა დღეში კიდევ ორი ტური გამართა და ერთწრიანი ტურნირიც დამთავრდა. კვირას უკვე ნახევარფინალებია: „აია" „შევარდენს" უმასპინძლებს, ხოლო „ვესტა" ხაშურში მიიღებს „გელათს".

„შევარდენს" და „გელათს" სამშაბათს ერთმანეთთან შეხვედრაში მესამე ადგილისათვის ფინალური მატჩის მასპინძლის ვინაობა უნდა გაერკვიათ (აქაც და ქვემოთაც ვვარაუდობთ, რომ ნახევარფინალებში „აია" და „ვესტა" გაიმარჯვებენ: საამისო საფუძველს პირველი ორი ეტაპის შედეგები იძლევა), და ამიტომ წინა ტურში ძალიან არ შეუწუხებიათ თავი: „შევარდენმა" „აიასთან" შეხვედრაში მხოლოდ ბოლო წუთებზე გამოიღო ხელი, თუმცა მაინც დიდი ანგარიშით დამარცხდა — 12:44, ხოლო „გელათმა" წააგო „ვესტასთან" — 3:69.

მესამე ადგილის მაძიებელთა შეხვედრა დაძაბული და უინტერესო გამოდგა. მოდებაძის გატანილი საჯარიმო ქუთაისელმა მაჩიტიძემ საჯარიმოთი და არეკნით გააბათილა და მეორე ტაიმში „შევარდენის" ლელოში ბურთის გამუდმებული დატყმებით მეტოქე მის 22-მეტრიან მოედანში ჩაკეტა — 6:3.

მეორე ეტაპი „ვესტა" — „აიას" თამაშმა დააგვირგვინა. ქუთაისელებს უკვე განაღდებული ჰქონდათ ორი ეტაპის ჯამში პირველობა და ამასთან, ფინალის მასპინძლობა, მაგრამ ქვეყნის საუკეთესო გუნდები ყოველ შეხვედრაში ცდილობენ ხოლმე უპირატესობის დამტკიცებას, თანაც ისინი წელს პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მეოცე წუთიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ქუთაისელმა ნ.ძაგნიძემ (10) ორ-ორი საჯარიმო და არეკნი ააცდინა მეტოქის კარს, შეხვედრის ბოლომდე თბილისელები უტევდნენ. ძნელი სათქმელია, რა გავლენა იქონია თამაშის შედეგზე შესვენებაზე „აიას" ერთ-ერთი ლიდერის; ნ.ძაგნიძის შეცვლამ: მეორე ტაიმში ქუთაისელებს ბურთი თითქმის არ ჰქონიათ. იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა თამაში „ვესტას" ნახევარზე მიმდინარეობდა, საფრთხე უფრო „აიას" ლელოს ემუქრებოდა: მასპინძლები მოედნის ნებისმიერი ადგილიდან უტევდნენ და რამდენჯერმე თამაშ-თამაშით მთელი მოედანიც კი გადაიარეს. ანგარიშიც „ვესტას" უპირატესობის კვალობაზე იზრდებოდა: ჯერ ჩავლეიშვილმა (10) შეაგდო ორი საჯარიმო (ერთი — შესვენებამდე), ბოლო ათ წუთში კი ჩიქვინიძის (12), ბესელიას (13), მარჯანიშვილის (15) და ნარიმანიძის (6) შეტევებს მუდმივი თავდაცვით ქანცგაწყვეტილი ქუთაისელები ვეღარ აღუდგნენ და ჩავლეიშვილმა და გ.გიუნაშვილმა (4) ორი ლელო გაიტანეს, ქუთაისელმა ტყაბლაძემ კი ბოლო წუთზე საჯარიმო შეაგდო — 3:16.

მამუკა ჩიხლაძე



გია ახალაძის ფოტო

„ვესტა" — „აია", შეხვედრის მომენტი.

ოთხეული (საბოლოო ცხრილი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „აია" | 11 | 10 | 0 | 1 | 41 |
| 2. | „ვესტა" | 11 | 10 | 0 | 1* | 40 |
| 3. | „გელათი" | 11 | 6 | 1 | 4 | 30 |
| 4. | „შევარდენი" | 11 | 5 | 0 | 6 | 26 |

V — IX ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „ყოჩები" | 9 | 3 | 3 | 3 | 21 |
| 2. | „მიმინო" | 9 | 3 | 1 | 5 | 19 |
| 3. | „იმერეთი" | 9 | 2 | 1 | 6 | 16 |
| 4. | „აკადემია" | 9 | 1 | 0 | 8* | 11 |
| 5. | „რაში" | 8 | 1 | 0 | 7* | 10 |

# უკანასკნელი ტანგო... ლისაბონში

## პორტუგალიელთა მეორე ტრიუმფი და ავსტრალიელთა პერსპექტივა

არგენტინელთა გუნდის უკანასკნელ ტანგოდ მონათლეს ჟურნალისტებმა მათი მარცხი მასპინძლებთან, პორტუგალიელებთან 0:3. დიახ, ამბიციურმა სამხრეთამერიკელებმა, რომლებიც პირინეის ნახევარკუნძულის ამ ქვეყანაში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებოდნენ, ყოვლად უსახურად იასპარეზეს და სრული კრახიც განიცადეს. გარდა იმისა, რომ მათ სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს (ბურთები 2-6) და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს, იშვიათი უდისციპლინობითაც მიიქციეს ყურადღება. არგენტინელებს არც მეზობლები — ურუგვაელები ჩამორჩნენ. მათაც ერთი ქულით ბოლო ადგილი დაიკავეს, თანაც ვერც ერთი გოლის გატანა ვერ მოახერხეს (ბურთები 0-7). სამაგიეროდ, აყალ-მაყალში და მუშტი-კრივში იყვნენ პირველნი. საბოლოოდ თითოეულმა გუნდმა ყვითელი და წითელი ბარათების მთელი დასტა დააგროვა. ასე განსაჯეთ, ფიფა იძულებული გახდა ორივე ქვეყნის თითო მოთამაშისთვის, არგენტინელი ესნაიდერასთვისა და ურუგვაიელი სილიესთვის ერთი წლით საერთოდ აეკრძალა საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა. გარდა ამისა, ეს ფეხბურთელებიცა და მათი ფედერაციებიც სოლიდურ ფულად ჯარიმებს გადაიხდიან. არა და თითქმის გადაწყვეტილი იყო ესნაიდერას მადრიდის „რეალში" გადასვლის საკითხი. არც სხვა სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების გადაბირების მსურველი იყო ცოტა, მაგრამ ისინი გაწბილებულნი დარჩნენ.

იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ანუ როგორც მას ოფიციალურად ეწოდება: „ფიფა-კოკა-კოლას თასი„ ფიფა-ს კალენდარში (ორ წელიწადში ერთხელ ტარდება) მნიშვნელობით მეორე ტურნირია ეროვნულ ნაკრებთა მსოფლიო თასის გათამაშების მერე. ეს შეჯიბრება, რომელსაც საფუძველი ფიფა-ს ახლანდელმა პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ჩაუყარა 1877 წელს, პლანეტის უახლოესი საფეხბურთო რეზერვის თავისებურ დათვალიერებას წარმოადგენს. აქ „აიდგეს ფეხი" ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან მარადონა, ვან ბასტენი, ვოლფარტი, ბებეტო და სხვ. ახალგაზრდა ტალანტებს კი ყოველთვის განსაკუთრებული სიხარბით დაეძებენ მოწინავე კლუბების აგენტები. ამიტომ ისეთი საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენელთა ფიასკო, როგორიცაა არგენტინა და ურუგვაი, არა მარტო მოულოდნელი, ბევრისთვის სამწუხაროც არის.

თუმცა, იუნიორთა ტურნირები ახალი გმირების გამოჩენითაც ხშირად გვახარებენ. შეიძლება გავიხსენოთ კატარის (II ადგილი 1981 წელს) ან ნიგერიის (III ადგილი 1985 წელს და II ადგილი 1989 წელს) გუნდების წარმატებები. ასეთი „ბედის რჩეულის" როლი ამჯერად ავსტრალიის ნაკრებს ერგო. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები მეოთხე ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ ჩინებული თამაშით საყოველთაო სიმპათია დაიმსახურეს. უმნიშვნელო არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ მათ ნახევარფინალში მხოლოდ მინიმალური სხვაობით წააგეს მასპინძლებთან, მომავალ ჩემპიონებთან — 0:1, მესამე ადგილი კი საბჭოთა გუნდს პენალტების სერიის შემდეგ დაუთმეს. ასეა თუ ისე, სპეციალისტები თვლიან, რომ მომავალ ჩემპიონატზე, რომელიც 1993 წელს ავსტრალიაში გაიმართება (ეს ქვეყანა 1981 წელს უკვე მასპინძლობდა „ფიფა—კოკა—კოლას" თასის" გათამაშებას), მასპინძელთა გუნდი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ისევე როგორც ყველა დიდ ტურნირს შეეფერება, ამ შეჯიბრების დღეებში უშუალოდ საფეხბურთო მინდორზე თუ მის ფარგლებს გარეთ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც გამძაფრებულ ყურადღებას იმსახურებდა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ კორეა პირველად ისტორიაში ამ ორად გაყოფილი ქვეყნის ჩრდილოელ და სამხრეთელ ფეხბურთელთა ნაკრებით იყო წარმოდგენილი. აი ეს მართლაც მოვლენაა! მიუხედავად ამისა, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჟურნალისტთა საყოველთაო და მუდმივი ყურადღების მთავარი ობიექტი მაინც მასპინძელთა გუნდი, 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების აღიარებული ფავორიტი იყო. გამორჩეული დამოკიდებულება იყო ბრაზილიელთა მიმართაც, რომლებმაც ტურნირზე მართლაც მშვენიერი გუნდი ჩამოიყვანეს. მათ ტრადიციულ ღირსებებს (შემტევი მანერა, უმაღლესი ტექნიკა...) პორტუგალიელებთან მათი სისხლით ნათესაობაც დაემატა და შეიძლება ითქვას ისინი თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ, ჯერ თავო და თწვოო... სამხრეთამერიკელები პოპულარობით პორტუგალიელებს მაინც ვერ შეედრებოდნენ. ამ ორი გუნდის ფინალური შეხვედრა კი მთელი ჩემპიონატის ღირსეულ ეპილოგად იქცა, რომელსაც ერთგვარი სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. ძირითადი და დამატებითი დრო უგოლო ფრედ 0:0 დამთავრდა, პენალტები მასპინძლებმა უკეთ შეასრულეს და ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნეს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშიდან გოლი არ გასულა, ტრიბუნაზე ვნებათაღელვა წუთითაც არ დამცხრალა. პორტუგალიისა და ბრაზილიის იუნიორმა ფეხბურთელებმა ტემპერამენტიანი თამაშით 120000 მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭეს.

პორტუგალიის ფეხბურთის მესვეურნი გახარებულნი და კმაყოფილნი დარჩნენ. ამის დასტურად ისიც ჰმარა, რომ გამარჯვებული გუნდის მუდმივ მწვრთნელს კარლოშ კეიროშს ეროვნული ნაკრების სათავეში ჩადგომა შესთავაზეს.

დაბოლოს ერთი კურიოზის შესახებ, რომლის მსგავსიც ჯერ არსად გამიგია: პორტუგალია-მექსიკის მეოთხედფინალური მატჩის დროს პოლონელმა არბიტრმა რიშარდ ვოიცეკმა მექსიკელ გონსალესს ორჯერ უჩვენა ყვითელი ბარათი და მინდვრიდან... არ გააძევა! როგორც გაირკვა, მსაჯი შეცდა დაჯარიმებული ფეხბურთელის ნომრის ჩაწერისას.

ასეც ხდება.

ზურაბ ინასარიძე

კალათბურთი



# „მერანი" ლიდერთა შორის

თბილისის კლუბ „მერანის" კალათბურთელები წარმატებით გამოდიან „თავისუფლების ლიგის" პირველ გათამაშებაში. ორი ტურის შემდეგ ისინი ექვსი ქულით (6 მოგება, 2 წაგება) სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან. ლიდერობს ვილნიუსის „პანერისი" — 7 ქულა. მესამე ადგილზეა კაუნასის „აუდა" — 5.

მეორე ტურის თამაშები გაიმართა კაუნასში. პირველი ორი შეხვედრა „აუდასთან" თბილისელებმა შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარეს და დამარცხდნენ — 5:6 და 9:12. სამაგიეროდ, კაუნასის „ლიტვინიკოსთან" „მერანმა" თავისი საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა და მეტოქეს ორივე შეხვედრა მოუგო — 23:13 და 13:5.

საერთოდ, „თავისუფლების ლიგის" გათამაშებაში ლიტვის, ესტონეთის და საქართველოს რვა გუნდი მონაწილეობს. ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენს დედაქალაქის კიდევ ერთი გუნდი „თბილისი", რომელიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მოთამაშეებით. მათ ჯერჯერობით ორი ქულა აქვთ.

რაც შეეხება „მერანს", იგი შეიქმნა სამი წლის წინ. მწვრთნელი გიორგი პაიჭაძის შეგირდებმა მოკლე დროში საკმაოდ აიმაღლეს ოსტატობა. შარშან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდნენ, მაგრამ წელს სხვა ქართველ სპორტსმენებთან ერთად უარი თქვეს საკავშირო ტურნირებში მონაწილეობაზე. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა შექმნილიყო „თავისუფლების ლიგა". ქართველ კოლეგების წინადადება სიამოვნებით მიიღეს ლიტვის და ესტონეთის გუნდებმა.

— „მერანი" 1990 წლიდან არსებობს მენეჯერთა უმაღლესი კოლეჯის ბაზაზე, — გვიამბობს კლუბის დირექტორი ზურაბ მენაბდე, — კოლეჯის ხელმძღვანელობა და პირადად მისი დირექტორი ბატონი გურამ თავართქილაძე ყოველნაირად ხელს გვიწყობს და საჭირო პირობებს უქმნის სპორტსმენებს.

„მერანს" ჰყავს სპონსორი — გაერთიანება „საქაგრომპექსის" სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ლილო" (დირექტორი ა.თავართქილაძე). კლუბის პრეზიდენტია გაერთიანების ექსპორტ-იმპორტის სამსახურის უფროსი მ. შალოლაშვილი.

„თავისუფლების ლიგის" გათამაშების მესამე ტურის მატჩები სექტემბერში ვილნიუსში გაიმართება, მანამდე კი (ივლისში) თბილისში „მერანის" თაოსნობით საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა.

ალექსანდრე იმედაშვილი



(გაგრძელება)

მაგრამ მხატვრული ტანვარჯიში თავისთავად, რა თქმა უნდა, არც დელსარტის იდეების პირმშო გახლავთ, არც რიტმული ტანვარჯიშის ფუძემდებლის, შვეიცარიელი დალკროზის ფანტაზიის ნაყოფი. იგი, როგორც ცნება, უხსოვარი დროიდან „მონაწილეობს" ტანვარჯიშში.

საბერძნეთის მონათმფლობელურ საზოგადოებაში ტანვარჯიში მმართველი კლასის ახალგაზრდობის ფიზიკური და სამხედრო ვარჯიშების შემადგენელ ელემენტად ითვლებოდა და, ამდენად, ადამიანის ჰარმონიული აღზრდის მთლიანი სისტემის ნაწილი იყო. ტანვარჯიშის ეს წმინდა ბერძნული მნიშვნელობა შემდგომ საფუძვლად დაედო ჰუმანისტებისა და განმანათლებლების პროგრესულ იდეებს. მოგვიანებით ტანვარჯიში და სპორტული ტანვარჯიში პარალელური სტრუქტურების სახით ვითარდება, თუმცა საფუძველი მაინც ერთი რჩება — აღზრდის საშუალება ყველა დარგში, ყველა სფეროში...

მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებაში რამდენიმე საკვანძო პერიოდი გამოიყოფა. 40-იანი წლების მეორე ნახევარში აქ აშკარად ჰარბობს საცეკვაო ვარჯიშების როლი. მერე ხდება რიტმისა და აკრობატული პლასტიკის ერთგვარი სინთეზი. და მხოლოდ ამის შემდეგ იტყვის საერთაშორისო ტანვარჯიშული მოძრაობის ერთ-ერთი მოამაგე ბერტა ვილანჟე — ახლა კი დავრწმუნდი, რომ მხატვრულ ტანვარჯიშს, როგორც სპორტს, დიდი მომავალი აქვსო.

მხატვრულ ტანვარჯიშთან სიახლოვეს ბევრი დარგი იჩემებს, მაგრამ ეს ამ სპორტის თვითმყოფობას უფრო უსვამს ხაზს, ვიდრე მის სისუსტეს. ამავე დროს, ეს ცალკე საუბრის თემა გახლავთ, ვინაიდან ბევრ ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებას გულისხმობს.

საქართველოში მხატვრული ტანვარჯიში მუდამ მოსწონდათ და აუდიტორიაც ამის გამო მუდამ დიდი ჰყავდა. ხოლო იქ, სადაც სპორტი პოპულარულია, მაღალი კლასის ოსტატებიც იზრდებიან. ქართული ტანვარჯიშული სკოლის ოქროს ხანად 70-იანი წლების მიწურული უნდა მივიჩნიოთ, უფრო ზუსტად 1979 წელი, ვინაიდან სწორედ ამ წელიწადს მოიპოვეს ჩვენმა საუკეთესო ოსტატებმა ირინე გაბაშვილმა და დალი დოლიძემ უმაღლესი სპორტული ტიტულები. ლონდონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გაბაშვილს ბრინჯაოს მედლები ხვდა მრავალჭიდსა და გურზებით ვარჯიშში, ბურთით ვარჯიშში კი ჩემპიონი გახდა. ლონდონში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი დალი დოლიძემაც (ჯგუფურ ვარჯიშებში). ჯგუფურ ვარჯიშში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი აქვს მიღებული ირინა ჟემჩუჟინას (1980 წ.) ბოლო პერიოდის ტანმოვარჯიშეთაგან კი პირველ ყოვლისა უნდა გამოვყოთ ელისო ბედოშვილი...



1908 წელი. ლონდონის IV ოლიმპიადა. ნიჩბოსანთა რეგატის მონაწილენი ლონდონის გარეუბან ჰენლეიში. აქვე ნავებით არიან მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლები და მაყურებლები.

**6**

## ნიჩბოსნობა

ნიჩბოსნობა როგორც სპორტის სახეობა, იმთავითვე ორი მიმართულებით ვითარდება. ერთს, მოგეხსენებათ, აკადემიურს უწოდებენ, მეორეს — საბაიდაროს (ამ უკანასკნელთან არის დაწყვილებული კანოეც). ამ ორ მიმართულებას უპირატესობას იმიტომ ვანიჭებთ, რომ არსებობს ნიჩნოსნობის კიდევ რამდენიმე, ნაკლებად გავრცელებული სახეობა.

ნავების არსებობის შესახებ ადამიანებმა ყველაფერი უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე თავად სანიჩბოსნო სპორტი გაჩნდებოდა. ამიტომ აქ არ არის სამარჩიელო, რა უფრო ადრე გაჩნდა — კვერცხი თუ ქათამი. იმ პირველყოფილ ნავებს რომლებიც ცხადია, არ იყოფოდა კლასებად, მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდათ: გადაეყვანათ ადამიანი მდინარის, ტბის, ზოგჯერ კი ზღვის მერე მხარეს და შემდეგ, შესაძლებლობის ფარგლებში, უკან დაებრუნებინათ იგი — ხან შესაფერისსი ნადავლით, ხან ხელცარიელი. მაგრამ დასაწყისში, როცა ნავის გაკეთება ჯერ კიდევ არ იცოდა, ადამიანი ასეთი „მოგზაურობისთვის" ლერწმის შეკვრას ან წყალში შემთხვევით ჩავარდნილ ხის მორს იყენებდა.

პირველი სამეურნეო ნავებიც სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანი მიხვდა, რომ წყლის ზედაპირზე მოტივტივე მორი მას თევზის დაჭერაში დაეხმარებოდა. ამ მორის მოძრაობაში მოყვანა შეეძლო ან დინებას, ან კიდევ ბრტყელ ფიცარს: აი, ეს პრიმიტიული ინვენტარი დაედო საფუძვლად მომდევნო პერიოდის ყველა ნავის კონსტრუქციას. ნიჩნოსნობის (ცხადია, არასპორტულის) განვითარებას ხელს უწყობდა ერთი მხრივ ვაჭრობის ბუნებრივი მოთხოვნილება, მეორე მხრივ კი — სამხედრო საჭიროებები. აი ამ მოთხოვნების შესაბამისად აგებდნენ ხან დიდი ზომისა და მრავალსართულიან, ხან კი მოკლე, მსუბუქ და ადვილად მოძრავ ნავებს.

იალქნის ადგილისა და როლის შეუფასებლობა ზღვაოსნობაში, ცხადია, შეცდომა იქნებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანი თავის ხელებს უფრო ენდობოდა მუდამ და გაშლილ იალქანს უბრალო ნიჩბები ერჩივნა. სხვა რომ არაფერი, ნიჩაბი განსაკუთრებულ შემთხვევაში იარაღის როლს ასრულებდა, ამასთან ნავის ხელით მართვა მანევრირების მეტ საშუალებას იძლეოდა, წყალზე კი ამას მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სანიჩბოსნო ფლოტს თავის დროზე დიდი ამაგი დასდეს ვაჭრებმა, მაგრამ მათზე ადრე ნავებს მხედართმთავრები იყენებდნენ. დროის ომის ქრონიკები სავსეა სანიჩბო ხომალდების შეტაკებათა აღწერით. იყო მათ შორის „გიგანტური" ზომის გემებიც. თუ ნიჩბოსნები ორ სართულად იყვნენ განლაგებული ხომალდებში, მათ ბირემებს უწოდებდნენ, თუ სამ სართულად — ტრირემებს. მაგრამ ხშირად პატარა ზომის მოძრავ ნავებსაც შეხვდებოდით. მათ ადამიანები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ასეთი სატრანსპორტო ნავები დღესაც ემსახურება მგზავრებს. ეს კი არა, ყველა საოკეანო ლაინერი, როგორც წესი, აღჭურვილი უნდა იყოს ათობით ასეთი პატარა ნავით, რათა უბედურების ჟამს ხალხს დახმარება აღმოუჩინონ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი




ევროპის თასის მფლობელი 5 კმ-ზე რბენაში სალვატორე ანტიბო (იტალია).

მართალია, საბჭოთა კავშირი ახლა „გვარიანად ირყევა", მაგრამ იგი, მაგალითად სპორტში, კვლავ მსოფლიო „დერჟავად" რჩება. რჩება იმის მიუხედავად, რომ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც აკლდება შემავსებელი წყარო (მაგალითად, ლიტველ კალათბურთელთა არყოფნით სსრ კავშირის ნაკრებმა ის მოიმკო, რომ ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა).

აი, მძლეოსნობაში კი მას პოზიცია ჯერ საკმაოდ მყარი აქვს. ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდების გამარჯვება ევროპის თასების გათამაშებაში, რომელსაც მაინის ფრანკფურტის ცნობილმა „ვალდშტადიონმა" უმასპინძლა. ეს ცოტა მოულოდნელიც ჩანს, რადგან ფავორიტებად გერმანელი ქალები და დიდი ბრიტანეთის ვაჟთა ნაკრები ითვლებოდნენ.

დიდბრიტანელები ალბათ მოიგებდნენ კიდეც ვაჟთა შორის გამარჯვებულისთვის დაწესებულ „ფლორენციულ თასს", საქმეში რომ არ ჩარეულიყო ერთი თითქმის დაკანონებული შემთხვევა. საერთოდ, როცა ასეთი დაძაბული ბრძოლაა, არ იქნება საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრების მეტოქეს გაუთვალისწინებელი მარცხი არ შეემთხვეს. ეს, როგორც წესი, ამანათრბენში ხდება. ახლაც ბრიტანელთა შესანიშნავმა კვარტეტმა იოლად მოიგო 4X100 მეტრზე ამანათრბენი, მაგრამ შეჯიბრების წესი დაარღვია და ერთბაშად 8 ქულა დაკარგა. საბჭოთა გუნდმა კი, რომელმაც სულ 3 სახეობაში გაიმარჯვა (ოციდან) საბოლოოდ 3,5 ქულის აჯობა მეტოქეს. სხვათა შორის, დააჯარიმეს 4X400 მეტრზე

# „ვალდშტადიონის" სიურპრიზები

მოასპარეზე საბჭოთა კვარტეტიც, მაგრამ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და საწადელსაც მიაღწიეს. ვაჟთა საბოლოო შედეგები ასეთია: 1. სსრკ — 114 ქულა; 2. დიდი ბრიტანეთი — 110,5; 3. გერმანია — 108; 4. იტალია — 106; 5. საფრანგეთი — 98,5.

გერმანელ მძლეოსან ქალთა მარცხი კი ალბათ იმით აიხსნება, რომ ჯერ ვერ მოხერხდა ორი ნაწილის — დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარგად შერწყმა ერთ ძლიერ გუნდად, თუმცა საბჭოთა გუნდიც კარგად მომზადებული აღმოჩნდა და მისმა წევრებმა 7 სახეობაში მოიპოვეს ოქროს მედლები. მაგალითად, მოსკოველმა ირინა სერგეევამ ორივე სპრინტერული დისტანცია მოუგო ევროპის ორგზის ჩემპიონს, გერმანელ კატრინ კრაბეს (11,29 და 22,48). ქალთა 5 საუკეთესო გუნდის შედეგები ასეთია: 1. სსრკ — 113 ქულა (მას ტრადიციული ჯილდო — „ვერცხლის გოგონა" გადაეცა); 2. გერმანია — 109; 3. დიდი ბრიტანეთი — 81; 4. რუმინეთი — 70; 5. საფრანგეთი — 61.

ვიდრე აღნიშნული ფაქტებიდან რაიმე დასკვნას გამოვიტანდეთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მძლეოსანთა წლევანდელი სპორტული სეზონის კულმინაცია იქნება მსოფლიო ჩემპიონატი ტოკიოში, რომელიც აგვისტოს მიწურულს დაიწყება. ამიტომ, იოლი საფიქრებელია, რომ ბევრი სპორტსმენი თუ გუნდი ცდილობს თავისი მომზადების უმაღლესი დონე სწორად ამ ჩემპიონატს შეუხამოს. ამიტომ, არა გვგონია ევროპის თასის გათამაშებაში ნაჩვენები შედეგები მონაწილე გუნდების სიძლიერის ზუსტი მაჩვენებელი იყოს (ტექნიკური შედეგები იხ. მე-6 გვერდზე).



# სამართლიანმა პური ჭამა

იტალიაში დამთავრდა ევროპის მორიგი XXVII ჩემპიონატი კალათბურთში. იგი სიურპრიზებით ოდნავ არ ყოფილა — შეიძლება ითქვას, სამართალმა პური ჭამა.

პირველ ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით იასპარეზეს ევროპული კალათბურთის გრანდებმა — იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდებმა, თუმცა ბულგარელებთან მატჩში ესპანელებმა კინაღამ წაიფორხილეს. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე ალფრედო მარტინმა ზუსტად გამოიყენა ორი საჯარიმო ტყორცნა და ესპანელებს ძნელი გამარჯვება მოაპოვებინა — 94:93. იუგოსლავიელებმა ჯერ ესპანელები დაამარცხეს — 76:67, შემდეგ კი პოლონელები — 108:61.

მეორე ჯგუფში იტალიის ნაკრების სამი გამარჯვება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არავისთვის არ ყოფილა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მეოთხედფინალური მატჩები „სკუადრა აძურასათვის" იოლი გასეირნება იყო. მასპინძლებმა ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვეს როგორც ბერძნებთან (82:72), ისე კი ფრანგებთან (75:72) შეხვედრაში. აი, მეორე ადგილისათვის კი უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა. ყველაფერი საფრანგეთისა და ჩეხეთსლოვაკეთის შეხვედრაში გადაწყდა. დამაჯერებლად გაიმარჯვეს ფრანგებმა (104:80) და ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით ნახევარფინალში გავიდნენ. საბერძნეთის ნაკრების წარუმატებლობა ევროპის ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა იყო.

ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ იუგოსლავიის და საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის გუნდები. იუგოსლავიელებს ფრანგებთან მატჩში პრობლემები არ ჰქონიათ — 97:76. გაცილებით დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე მატჩმა, ვინაიდან გულშემატკივრები ამ შეხვედრაში უფრო უშელავათო ბრძოლას მოელოდნენ. როგორც ანგარიშიდან ჩანს, მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში, მატჩის უკანასკნელ წუთზე გამოსტაცეს მეტოქეს მეტად ძნელი გამარჯვება — 93:90. ამით „სკუადრა აძურამ" პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მესამე ადგილისათვის მატჩში ესპანელებმა მოუგეს ფრანგებს 101:83 და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

რა თქმა უნდა, ფინალური მატჩის ფავორიტად ყველანი იუგოსლავიის ნაკრებს ასახელებდნენ, თუმცა, ჩვენი აზრით, „სკუადრა აძურას" ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა მაინც ჰქონდა. ჯერ ერთი, მის მხარეზე იყო „საკუთარი კედლების" უპირატესობა და მეორეც — ჩემპიონატის წინ საბერძნეთში გამართულ დიდი საერთაშორისო ტურნირზე იტალიის ნაკრებმა ყველასათვის მოულოდნელად სძლია იუგოსლავიელებს — 85:83. ამჯერად სტუმრები შეხვედრის პირველი წუთებიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და თამაშის სადავეები მთელი მატჩის განმავლობაში მტკიცედ ეპყრათ ხელთ, რაც, მიმომხილველთა აზრით, მნიშვნელოვანწილად ტონი კუკოჩის და დინო რაჯას ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. ფინალური მატჩის გმირად სწორედ ეს ტანდები მოგვევლინა. მათ ანგარიშზეა გუნდის მიერ მოგროვებული ქულების „ლომის წილი" (ზუსტად ნახევარი — 44 ქულა). იუგოსლავიელთა დამაჯერებელი გამარჯვება სავსებით ლოგიკური იყო 88:73. ისინი მეხუთედ გახდნენ კონტინენტის ჩემპიონები.

მერაბ ძალანდაძე

კალათბურთელ ვაჟთა მომავალ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, 1993 წელს, რვის ნაცვლად თორმეტი გუნდი იასპარეზებს. წლევანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ოთხ საუკეთესო ნაკრებს (იუგოსლავია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) პირდაპირ ფინალში დაუშვებენ. მათ შეუერთდებიან ოთხ შესარჩევ ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული ქვეყნების გუნდები. შესარჩევი ჯგუფების შემადგენლობა ასეთია: „A" — ჩეხეთსლოვაკეთი, პოლანდია, ბელგია, თურქეთი; „B" — პოლონეთი, გერმანია, ისრაელი, პორტუგალია; „C" — სსრკ, ბულგარეთი, ინგლისი, დანია; „D" — საბერძნეთი, შვეცია, რუმინეთი, უნგრეთი.



ლათინური ამერიკის ოთხი სახელმწიფოს — ურუგვაის, ბრაზილიის, არგენტინისა და პარაგვაის მეთაურებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს შეხვდნენ საერთო ბაზრის შექმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის განსახილველად და... ჩოგბურთის კორტებზე „ურთიერთობის გასარკვევად". ამ სახელმწიფოთა პრეზიდენტები ოქტომბრის თვეში მნიშვნელოვან მოლაპარაკებას გამართავენ მონტევიდეოში, შესვენებების დროს კი ჩოგბურთში მოწყობილ საქველმოქმედო საჩვენებელ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

ამ უპრეცენდენტო შეჯიბრების თაოსანი ურუგვაის ჩოგბურთის ფედერაცია გახლდათ, როგორც ფედერაციის თავკაცი კარლოს რაიმერი ამბობს, პრეზიდენტებმა ლუის ალბერტო ლაკალიემ, ფერნანდო კოლო დე მელომ, კარლოს მენემმა და ანდრეს როდრიგესმა უკვე განაცხადეს

# კორტებზე გამოვლენ... პრეზიდენტები

თანხმობა. ამასთან, იასპარეზებენ მხოლოდ წყვილები. რათა შეხვედრები სანახაობრივად უფრო მიმზიდველი და ამავე დროს სპორტული თვალსაზრისით მაღალი დონისა იყოს, განზრახულია პრეზიდენტთა წყვილების „განზავება" მათივე ქვეყნების უმაღლესი პროფესიონალი ჩოგბურთელებით. მაგალითად, კარლოს მენემი ითამაშებს ცნობილ არგენტინელ ოსტატებთან მარტიან ჰაიტესთან და გილერმო როლდანთან ერთად. ურუგვაის პრეზიდენტს ლუის ალბერტო ლაკალიეს დაეხმარებიან ამ ქვეყნის პროფესიული ჩოგბურთის საუკეთესო წარმომადგენლები მარჩელო ფილიპინი და დიეგო პერესი.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტები, თუმცა ჩოგბურთში მაღალი მწვერვალები არ დაუპყრიათ, არც ახალბედები არიან ამ სახეობაში. ოთხივენი რეგულარულად დადიან კორტებზე, რაც მათს უაღრესად აქტიურ ცხოვრებაში სათანადო „სპორტული ფორმის" შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა.



# «დუბლი» არ იქნება

როცა „ჯირო დ'იტალიაში" ტრიუმფის მილოცვის შემდეგ იტალიელ ფრანკო კიოჩოლის „ტურ დე ფრანსში" გამარჯვებაც უსურვეს, გახარებულმა ჩემპიონმა მიუხედავად უსაზღვრო ბედნიერებისა, სალად, არაორაზროვნად უპასუხა: „რას ბრძანებთ, ერთ სეზონში ორი ასეთი რბოლის მოგება შეუძლებელია. მე ღმერთი არა ვარ". ეს არც მეტისმეტი თავმდაბლობა იყო და არც თვალთმაქცობა. ზედიზედ ორი ყველაზე პრესტიჟული და რთული რბოლის მოგება მართლაც ძალიან ძნელია. ამის დასტურია ისიც, რომ პროფესიული ველორბოლის ისტორიაში ასეთი „ოქროს დუბლი" მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა შეასრულა. ოთხივე სუპერვარსკვლავის სახელი ლეგენდად იქცა: ფაუსტო კოპი (1949, და 1952 წლები), ჟაკ ანკეტილი (1964), ედი მერქსი (1970, 1972, 1974), ბერნარ ინო (1983, 1985). ისინი მართლაც რჩეულნი, უძლიერესთა შორის უძლიერესნი არიან, მაგრამ ასევე საყოველთაო აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ ისინი, ვინც ერთხელ მაინც შეძლო ყველაზე ავტორიტეტიან ველორბოლა „ტურ დე ფრანსში" გამარჯვება. ამიტომ „ტურის" 76-ე სტარტის წინ (შეჯიბრება ხვალ იწყება) ვაქვეყნებთ ყველა გამარჯვებულის სიას.



სახელგანთქმული ბელგიელი ედი მერქსი, რომელ-ც ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) შესძლო ერთ სეზონში ორივე უდიდესი რბოლის „ჯირო დ'იტალიისა" და „ტურ დე ფრანსის" მოგება.

| | | |
|---|---|---|
| 1903 მ. გარინი (საფრანგეთი) | | |
| 1904 ა. კორნე (საფრანგეთი) | 1933 ჟ. სპეიშერი (საფრანგეთი) | 1965 ფ. ჯიმონდი (იტალია) |
| 1905 ლ. ტრუსელიე (საფრანგეთი) | 1934 ა. მანე (საფრანგეთი) | 1966 ლ. აიმარი (საფრანგეთი) |
| 1906 რ. პოტიე (საფრანგეთი) | 1935 ს. მაესი (ბელგია) | 1967 რ. პინჟო (საფრანგეთი) |
| 1907 ლ. პეტიტ-ბრეტონი (საფრანგეთი) | 1936 ს. მაესი (ბელგია) | 1968 ი. იანსენი (ჰოლანდია) |
| 1908 ლ. პეტიტ-ბრეტონი (საფრანგეთი) | 1937 რ. ლაფები (საფრანგეთი) | 1969 ე. მერქსი (ბელგია) |
| 1909 ფ. ფაბერი (ლუქსემბურგი) | 1938 ჯ. ბარტალი (იტალია) | 1970 ე. მერქსი (ბელგია) |
| 1910 ო. ლაპისი (საფრანგეთი) | 1939 ს. მაესი (ბელგია) | 1971 ე. მერქსი (ბელგია) |
| 1911 გ. გარიგი (საფრანგეთი) | 1940-46 არ ჩატარდა | 1972 ე. მერქსი (ბელგია) |
| 1912 ო. დეფრაიე (ბელგია) | 1947 ჟ. რობიკი (საფრანგეთი) | 1973 ლ. ოკანა (ესპანეთი) |
| 1913 ფ. ტიისი (ბელგია) | 1948 ჯ. ბარტალი (იტალია) | 1974 ე. მერქსი (ბელგია) |
| 1914 ფ. ტიისი (ბელგია) | 1949 ფ. კოპი (იტალია) | 1975 ბ. ტევენე (საფრანგეთი) |
| 1915-18 არ ჩატარდა | 1950 ფ. კუბლერი (შვეიცარია) | 1976 ლ. ვან იმპე (ბელგია) |
| 1919 ფ. ლამბო (ბელგია) | 1951 უ. კობლე (შვეიცარია) | 1977 ბ. ტევენე (საფრანგეთი) |
| 1920 ფ. ტიისი (ბელგია) | 1952 ფ. კოპი (იტალია) | 1978 ბ. ინო (საფრანგეთი) |
| 1921 ლ. შური (ბელგია) | 1953 ლ. ბობე (საფრანგეთი) | 1979 ბ. ინო (საფრანგეთი) |
| 1922 ფ. ლამბო (ბელგია) | 1954 ლ. ბობე (საფრანგეთი) | 1980 ი. ზოეტემელკი (ჰოლანდია) |
| 1923 ა. პელისიე (საფრანგეთი) | 1955 არ ჩატარდა | 1981 ბ. ინო (საფრანგეთი) |
| 1924 ო. ბოტეჩია (იტალია) | 1956 რ. ვალკოვიაკი (საფრანგეთი) | 1982 ბ. ინო (საფრანგეთი) |
| 1925 ო. ბოტეჩია (იტალია) | 1957 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) | 1983 ლ. პინიონი (საფრანგეთი) |
| 1926 ლ. ბუიზე (ბელგია) | 1958 ს. გაული (ლუქსემბურგი) | 1984 ლ. პინიონი (საფრანგეთი) |
| 1927 ნ. ფრანცი (ლუქსემბურგი) | 1959 არ ჩატარდა | 1985 ბ. ინო (საფრანგეთი) |
| 1928 ნ. ფრანცი (ლუქსემბურგი) | 1960 გ. ნენჩინი (იტალია) | 1986 გ. ლემონდი (აშშ) |
| 1929 მ. დევალიე (ბელგია) | 1961 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) | 1987 ს. როში (ირლანდია) |
| 1930 ა. ლედუკი (საფრანგეთი) | 1962 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) | 1988 პ. დელგადო (ესპანეთი) |
| 1931 ა. მანე (საფრანგეთი) | 1963 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) | 1989 გ. ლემონდი (აშშ) |
| 1932 ა. ლედუკი (საფრან[illegible]თი) | 1964 ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) | 1990 გ. ლემონდი (აშშ) |

წლეულს „ტურ დე ფრანსში" 2? გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თექვსმეტმა მათგანმა ეს უფლება შარშანდელი „ტურის" შედეგების მიხედვით მიიღო, კიდევ ექვსი გუნდი კი ასპარეზობის ორგანიზატორებმა მიიწვიეს. სტარტზე გამოვა პლანეტის ყველა უძლიერესი მრბოლი გარდა გუშინდელი ტრიუმფატორისა — „ჯირო დ'იტალიაში" გამარჯვებული ფრანკო კიოჩოლისა, რომლის გუნდიც („დელ ტონგო"), სამწუხაროდ, ვერ მოხვდა ამ შეჯიბრების მონაწილეთა შორის. ასე, რომ წლეულს „დუბლის" საკითხი ავტომატურად მოიხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაზ ანთაძე — სპორტსმენი, ინჟინერი, მხატვარი

## სადამ ჰუსეინი ფარჩოს წინააღმდეგ

ასპარეზიდან წასვლის შემდეგ სპორტსმენი უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ სწრაფად იცვლება — მკვეთრად მატულობს წონაში, ნაკლებად მოძრავი ხდება. თუმცა ბევრნი შემდეგაც აგრძელებენ ვარჯიშს ფორმის ასე თუ ისე შესანარჩუნებლად და ზოგიერთი მშვენივრადაც ახერხებს „თავის შენახვას". ამის „ცოცხალი" მაგალითი ხელბურთელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ვიხილეთ. ვეტერანთა გუნდის მოთამაშეებში მოედანზე უპირველესად ყურადღებას მიაქცევდით მზემოკიდებულ, შემელოტებულ კაცს, რომელიც შესაშური ენერგიულობით გამოირჩეოდა, უწინდებურად გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა და, ყველაფერ ამასთან ერთად, გოლებიც საკმაოდ გაჰქონდა. 56 წლის თამაზ ანთაძე, ბევრი ბავშვობიდან „ფარჩოს" სახელით რომ იცნობს, დღესაც ისეთივე ტანწვრილი და ისეთივე აზარტული მებრძოლია, როგორიც გულშემატკივრებს თბილისის „ბურევესტნიკის" ბრწყინვალე გუნდიდან ახსოვთ.

სახელოვან სპორტსმენს სასაუბროდ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შევხვდი ვეტერანთა გუნდის მიერ მოგებული ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, რომელშიც „ფარჩომ" თითქმის სამოც წუთს ითამაშა და მოწინააღმდეგის კარში ექვსი გოლიც გაიტანა.

**— თამაზ, იქნებ უხერხული კითხვაა, მაგრამ მაინც: რატომ თამაშობთ ჩემპიონატში?**

— ეს ალბათ ჩემი ბუნების „ბრალია". ამას წინათ შემთხვევით მოვხვდი ბიჭების ვარჯიშზე და ეს საკმარისი აღმოჩნდა. მაშინვე გადავწყვიტე პირველობაში მონაწილეობის მიღება. მით უფრო, რომ ამდენი წლის შემდეგ მოედანზე გამოსვლა იმ ძველ, კეთილ დღეებს მაგონებს და დიდ სიამოვნებასაც ვგრძნობ. საერთოდ, დიდხანს უძრავად ყოფნა არ შემიძლია. სისტემატიურად ვვარჯიშობ. რამდენიმე დღეც რომ გამიცდეს, ცუდ გუნებაზე ვდგები. შინ ამას უცებ მამჩნევენ ხოლმე და სავარჯიშოდ „მაგდებენ", ცოტა ხასიათზე მოდიო.

**— საინტერესოა თქვენი, როგორც უშუალო მონაწილის აზრი წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე და საერთოდ, ქართული ხელბურთის მომავალზე.**

— დიდი ხანია, ჩვენი ხელბურთი არ მენახა და ამდენად, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩემთვის ჩემპიონატში ახალი, იმედის მომცემი ტალღის ხილვა. მხედველობაში მყავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, „მამულის", ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის, თელავის პერსპექტიული მოთამაშეები. ეს ახალგაზრდა მწვრთნელების — მერაბ მეტრეველის, რევაზ ჰანტურიას, ჯიმშერ დვალიშვილის, გია სვიმონიშვილის საქმისადმი სერიოზული მიდგომისა და თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. ჩვენს ხელბურთელებს სხვა ქვეყნების მსგავსი სამუშაო პირობები რომ ჰქონდეთ, ამასთან, შეჯიბრების ორგანიზაციული მხარეც სათანადო დონეზე რომ ავიყვანოთ, დარწმუნებული ვარ, ქართული ხელბურთი შესძლებს დაიბრუნოს უწინდელი ძლიერება.

**— თქვენი ვარჯიშში, როგორც ვიცი, მარტო ხელბურთით არ შემოიფარგლება. ჩოგბურთსაც ჩინებულად თამაშობთ და თხილამურებითაც მშვენივრად სრიალებთ. ეს გასაგებია, მაგრამ ხატვა?**

— ხატვის სიყვარულმა ამ ათიოდე წლის წინ იჩინა თავი. მაშინ თელავში ვმუშაობდი, „ალაზანმშენის" სამმართველოში. ვერ ვიტყვი, დრო თავზე საყრელი მქონდა-მეთქი, მაგრამ ფუნჯისთვის ერთ-ორ საათს ყოველდღე ვპოულობდი. ჩემი ნახატების ძირითადი თემა პორტრეტი და პეიზაჟია. თვითნასწავლი მხატვრების რამდენიმე გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა.

**— ხელბურთის სარბიელზე თქვენი პირველი გამოსვლიდან წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობამდე დიდი დროა...**

— ზუსტად ოცდათხუთმეტი წელი. მახსოვს, 1956 წლის დეკემბერი იდგა. სტუდენტი ვიყავი, „ბურევესტნიკის" კალათბურთელთა გუნდში ვვარჯიშობდი ყველასთვის კარგად ცნობილ მიხეილ კეკელიძესთან. დარბაზში ერთი სამხედროფარაჯიანი, ტიპიური „ვანია" შემოვიდა. ძია მიშამ გაგვაცნო, მწვრთნელი კუდრიავცევიაო. მოსულმა, ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად მწვრთნელს რომ ჰგავდა, გვაუწყა, არის ერთი ახალი სახეობა, ხელბურთი ჰქვია, გუნდის შესაქმნელად ბიჭებს ვაგროვებო. მე მაშინ გერმანული ჟურნალები მქონდა გამოწერილი და იქ დაბეჭდილი ფოტოებით ვიცნობდი ამ თამაშს — ევროპაში კარგა ხანია მისდევდნენ, „ჰანდბალი" ერქვა. ძია მიშამ შემოგვთავაზა, ვისაც გსურთ, ახალ სახეობაზე გადადითო. გამოცდილი მწვრთნელი, როგორც ჩანს, მატყობდა, კალათბურთისათვის მაინცდამაინც პერსპექტიული რომ ვერ ვიყავი და საკმაოდ ადვილად შემელია. ჩემთან ერთად რამდენიმე ბიჭი წამოვიდა. მალე სხვა სახეობების წარმომადგენლებიც შემოგვიერთდნენ — სულ ოცამდე მოვგროვდით. „დინამოს" სტადიონის სათადარიგო საფეხბურთო მოედანზე ვვარჯიშობდით. ეს „დიდი" ხელბურთი იყო — 11X11, რომელიც დღეს აღარავის ახსოვს. ასე გაგრძელდა 1960 წლამდე, როდესაც ბაქოში იქაურ გუნდს შევხვდით. მატჩი მოვიგეთ. იმათ რევანშის სურვილით შემოგვთავაზეს, ეხლა 7X7-ზე ვითამაშოთო. სწორედ მაშინ გავიცანით ეს „ახალი", უფრო დინამიკური ხელბურთი და ძალიან მოგვეწონა.

1961 წელს, თბილისში სპორტის სასახლე რომ გაიხსნა, ახალ მოედანზე პირველი მატჩი ჩვენმა ნაკრებმა გამართა უნგრეთის გუნდთან და გაიმარჯვა კიდეც. უნდა ითქვას, ერთი წლის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში „ბურევესტნიკის" გამარჯვება დიდად არის დაკავშირებული სპორტის სასახლესთან. სამოცდაერთში სწორედ ამ სასახლის სარბიელზე ჩავატარეთ ორ-ორი შეხვედრა უნგრეთის, დანიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებთან. ამ მატჩებში გამოცდილებაც შევიძინეთ და ბევრიც ვისწავლეთ ჩვენზე ბევრად დაოსტატებული სტუმრებისაგან. ეს ყველაფერი ძალიან გამოგვადგა 1962 წელს კაუნასში, პირველი საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში. იქ ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი მესამე ადგილი იყო, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, მათ შორის ჩვენთვისაც, შვიდი შეხვედრიდან ხუთი მოვიგეთ, ორი ფრედ დავამთავრეთ და ჩემპიონები გავხდით.

კაუნასში ხომ ვიზეიმეთ პირველობის მოპოვება, მაგრამ მეტი სიხარული თურმე შინ გველოდა. თბილისში რომ ჩამოვფრინდით, აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ძალიან გაგვიკვირდა, უფრო კი, ცხადია, გაგვიხარდა. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძეც იქ იყო.

**— ზაგრების „მედვეშჩაკთან" თბილისელთა დრამატულ მატჩს ახლაც სინანულით იგონებენ „სტაჟიანი" გულშემატკივრები. მაშინ „ბურევესტნიკს" შეეძლო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გასულიყო, მაგრამ ეს მართლაც ზღაპრული შანსი ხელიდან გაუშვა.**

— ალბათ გახსოვთ, ზაგრებში შეხვედრა რვა ბურთით წავაგეთ, თბილისში კი მატჩის ბოლო წუთზე ცხრა ბურთით ვიყავით წინ, მაგრამ ჩვენი მოუმზადებელი, ნაჩქარევი შეტევა სტუმრებმა ადვილად მოიგერიეს. ბოლო წამებზე მათ პენალტიც გაიტანეს. გვეგონა, დამატებითი დრო დაინიშნებოდა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელმა მსაჯმა, მახსოვს, პარდუბსკი იყო გვარად, დებულება გვაჩვენა — კენჭი უნდა ვყაროთო. კაპიტნებს ჰკითხა, ვის რომელი მხარე უნდოდა და შემდეგ ის ავბედითი ერთკრონიანიც ააგდო. ეს ყველაფერი მსაჯთა ოთახში ხდებოდა, ჩვენ კი გარეთ ველოდებოდით. უცბად, კარი გაიღო და გახარებულმა იუგოსლავიელმა დაიძახა „ნაშა". მოგეხსენებათ, ამ სიტყვას იუგოსლავიურად და რუსულად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. რადგან თამაშს საკავშირო სპორტკომიტეტის რამდენიმე წარმომადგენელი ესწრებოდა, იქვე მდგარმა ჩვენმა გულშემატკივარმა იფიქრა, რუსმა დაიყვირა გამარჯვება „ჩვენიაო" და ასეც გვახარა. მოხდა საოცარი გაუგებრობა: მოედანზე ცალკე იუგოსლავიელები და ცალკე ჩვენ ერთმანეთს ვეხვეოდით და გამარჯვებას ვულოცავდით, მაყურებლები კი გაოგნებულები იყვნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ბედმა სტუმრებს გაუღიმა და ნახევარფინალში „მედვეშჩაკი" გავიდა. ასეთი მატჩების დავიწყება შეუძლებელია.

სამოცდაშვიდში, საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთხელ ვერცხლის მედლები რომ მოვიპოვეთ, თამაშს თავი დავანებე — უკვე ოცდათორმეტი წლის ვიყავი. „დინამოს" ჩავუდექი სათავეში. მაშინ ამ გუნდში თამაშობდნენ ძმები ბერიაშვილები, ჯიმშერ დვალიშვილი, ზაურ ფხალაძე, დათო რუხაძე. ორ წელიწედში საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვეთ. მაგრამ მწვრთნელად მუშაობის პერიოდში ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად მაინც 1974 წელს სოხუმში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე თელავის გუნდის გამარჯვებას ვთვლი. იმხანად თელავში სპეციალობით, ინჟინრად ვმუშაობდი, თან ნორჩ ხელბურთელებსაც ვავარჯიშებდი. და აი, ამ ბიჭებმა დაამარცხეს სპარტაკიადის ფავორიტი — თბილისის ნაკრები. ეს მართლაც უდიდესი სენსაცია იყო.

იმ დროიდან ერთი კურიოზული ამბავი მახსენდება. ბათუმში შეჯიბრებაზე ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი მოვიდა: თუ ძმა ხარ, დაანებე ხელბურთს თავი, შენი გულისთვის სამსახურს ვკარგავო. ბიჭო, ინჟინრის დიპლომი მქონდეს და ბურთს დავუწყებ დევნასო? მე რა შუაში ვარ-მეთქი. როგორ თუ რა შუაში ხარ. ამას წინათ სამინისტროში კოლეგიაზე ერთ-ერთი ტურნირის შემდეგ ტყავი გამაძვრეს. რომელი ადგილი დაიკავეო. რომ ვუთხარი პირველი თბილისი იყო, მეორე თელავი, ჩვენ კი მესამე ადგილზე გავედით-მეთქი, შავი დღე მაყარეს — ამ ერთი ბეწო ქალაქის გუნდი რომ რესპუბლიკის ნაკრებს გამარცხებს, ესე იგი არ ვარგიხარ, ცუდად მუშაობ და გასაგდები ხარ, აბა რაო.

შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი ცხოვრება სწორედ ამ ორ საქმეს ვემსახურე — ინჟინრობას და ხელბურთს. დღისით ინჟინერი ვიყავი, საღამოს კი — მწვრთნელი.

**— თელავის შემდეგ თქვენ თბილისში მუშაობდით ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის დირექტორად.**

— თბილისში თითქმის სამი წელი ვიმუშავე. ამ პერიოდში სკოლის წარგზავნილებმა საკავშირო სპარტაკიადაზე და პირველობებზე რამდენჯერმე მეორე ადგილი დაიკავეს.

ოთხმოცდარვაში საკავშირო სპორტკომიტეტის ხაზით უამრავი ქაღალდი გავაფორმე და როგორც იქნა, ქუვეითში ჩაველი სამუშაოდ. კონტრაქტის თანახმად, ხელფასი, იცოცხლე, ბლომად მეკუთვნოდა — თვეში ათას ხუთასი დოლარი, მაგრამ ჩვენი „მშობლიური" მთავრობის წარმომადგენელი ხელზე მხოლოდ ოთხას ორმოცდაათს მაძლევდა.

ქუვეითში „ალ არაბის" კლუბის ორ გუნდს ვწვრთნიდი — ახალგაზრდულსა და უფროსებისას. ვარჯიშის პირობები ისეთი გვქონდა, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. მოედნის საფარი იდეალური იყო, ყოველ წვრთნაზე ოცი ბურთი გვქონდა. ერთი სპეციალურად მომაგრებული კაცი კუდში დაგვდევდა პატარა ურიკით, რომელზეც ცივი წყლისა და შარბათის ბოთლები იდგა. ხელში ღრუბელი ეკავა და წამდაუწუმ ოფლს გვწმენდდა. შესანიშნავი პირობების მიუხედავად, მოთამაშეები მეცადინეობას ხშირად აცდენდნენ. თუმცა, ვინც მოდიოდა, თავის მოკვლამდე ვარჯიშობდა. სამაგიეროდ, მატჩის მოგება ყველას უნდოდა. ვერაფრით გავაგებინე, რომ თუ ვარჯიშზე ტაქტიკურ ვარიანტებს არ დავამუშავებდით, ისე თამაშს ვერ მოვიგებდით. იქაურ ჩემპიონატში მატჩების გადატანაზე, ან მსაჯების შეცვლაზე ფიქრიც ზედმეტია. ქუვეითელი ხელბურთელები თამაშის დონით ჩვენებს საგრძნობლად ჩამოუვარდებიან, სიფიცხე და აზარტი კი ნამდვილად არ აკლიათ. მოედანზე ხშირი იყო აყალმაყალი, გასაშველებლად ხანდახან პოლიციელებსაც უხდებოდათ საქმეში ჩარევა.

ქუვეითში რომ ჩაველი, ჩემპიონატი ახალი დამთავრებული იყო. ახალგაზრდულ გუნდს მესამე ადგილი აეღო. ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩემპიონობაც მოვიპოვეთ და თასიც, „ალ არაბის" დიდების გუნდმა კი ქვეყნის თასიც დაისაკუთრა.

მუშაობისას საერთო ენის გამონახვა ძალიან გაგვიადვილა ხასიათების მსგავსებამ, აგრეთვე იმანაც, რომ ბევრი სიტყვა საერთო გვაქვს და უთარგმნელადაც გასაგებია. ამასთან, იქ თითქმის ყველა ლაპარაკობს ინგლისურად. ენა მეც ვიცი და ამიტომ თარჯიმანი არ დაგვჭირვებია.

უცხოეთში ყოფნისას საშუალება მქონდა ქართული პრესის, აგრეთვე რადიოს მეშვეობით თვალყური მედევნებინა აქ, ჩვენთან მიმდინარე პროცესებისათვის და ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთი სასიკეთო ცვლილებები მოხდა.

შარშან ზაფხულში, შვებულებით ვიყავი თბილისში. უკან დასაბრუნებელი ბილეთი უკვე აღებული მქონდა. აგვისტოს ბოლოს უნდა გავფრენილიყავი. მაგრამ ქუვეითში ერაყის ჯარების შეჭრამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და მეც შინ მომიხდა დარჩენა. თუმცა დროთა განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ მოგვარდეს და მეც გავაგრძელო იქ მუშაობა.

ვნახოთ, „რას მოგვიტანს დარჩენილი დრო".

ესაუბრა **გია ახალაძე**.



1964 წელი. თბილისის „ბურევესტნიკი" ხვდება მოსკოვის „კუნცევოს". თამაზ ანთაძე მორიგ ორთაბრძოლას უგებს იური ლებედევს.




1964 წელი. თბილისის „ბურევესტნიკი". მარჯვნიდან: თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, გარი. მაჭავარიანი, თემურ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ანზორ ექსეულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტექნიკური შედეგები

### კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. რომი. ვაჟები. ნახევარფინალები. იუგოსლავია — საფრანგეთი — 97:76, იტალია — ესპანეთი — 93:90. მატჩი მესამე ადგილისათვის. საფრანგეთი — ესპანეთი — 83:101. ფინალი. იუგოსლავია — იტალია — 88:73. მატჩი მეხუთე ადგილისათვის. საბერძნეთი — ჩეხეთსლოვაკეთი — 96:79. მატჩი მეშვიდე ადგილისათვის. პოლონეთი — ბულგარეთი — 90:86.

### ფეხბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორთა შორის (20 წლამდე). პორტუგალია. მატჩი მესამე ადგილისათვის. სსრკ — ავსტრალია — 6:5 (1:1. პენალტებით — 5:4). ფინალი. პორტუგალია — ბრაზილია — 4:2 (0:0. პენალტებით — 4:2).

### ფრენბურთი

„მსოფლიო ლიგის" გათამაშება „ა" ჯგუფი. ჰოლანდია — კანადა — 3:1 და 3:0; საფრანგეთი — კუბა — 1:3 და 1:3. ლიდერობს კუბა — 12 მოგება ამდენივე შეხვედრიდან; 2. ჰოლანდია — 8 (10); 3. ბრაზილია — 4 (10); 4. საფრანგეთი — 3 (12); 5. კანადა — 1 (12). „ბ" ჯგუფი. კორეა — იაპონია — 3:0 და 3:1. ლიდერობს იტალია — 10 მოგება 12-დან; 2. სსრკ — 8 (12); 3. აშშ — 4 (10); 4. კორეა — 3 (10); 5. იაპონია — 3 (10).

### მძლეოსნობა

ევროპის თასი. მაინის ფრანკფურტი. 29-30 ივნისი. ვაჟები. 100მ. ლ.კრისტი (დიდი ბრიტანეთი) — 10,18. 200მ. ჟ.ტრუაბალი (საფრანგეთი) — 20,60. 400მ. რ.ბლეკი — 44,91. 800მ. ტ.მაკკინი — 1.45,60. 1500მ. პ.ელიოტი (ყველა — დიდი ბრიტანეთი) — 3.43,39. 5000მ. სანტიბო (იტალია) — 13.21,68. 10000მ. ი.მარტინი — 28.00,53. 110მ. თარჯრბენი. კ.ჯექსონი — 13,31. 400მ. თარჯრბენი. კ.აკაბუსი (ყველა — დიდი ბრიტანეთი) — 48,39. 3000მ. წინაღობებით. ა.ლამბრუჩინი (იტალია) — 8.29,82. 4X100მ. საფრანგეთი — 38,67. 4X400მ. დიდი ბრიტანეთი — 3.00,58. სიმაღლე. დ.გრანტი (დიდი ბრიტანეთი) — 230სმ. ჭოკი. მ.ტაროვი (სსრკ) — 560სმ. სიგრძე. დ.ჰაალე — 830სმ. სამხტომი. რ.იაროსი (ორივე — გერმანია) — 17,66მ. ბადრო. ა. ხორვატი (უნგრეთი) — 65,24მ. ბირთვი. უ.ტიმერმანი (გერმანია) — 20,26მ. შუბი. ი.ჟელეზნი (ჩეხეთსლოვაკეთი) — 82,84მ. ურო. ი.ასტაპკოვიჩი (სსრკ) — 81,60მ. გუნდური. 1. სსრკ — 114 ქულა. 2. დიდი ბრიტანეთი — 110,5; 3. გერმანია — 108.

ქალები. 100 და 200მ. ი.სერგეევა-პრივალოვა (სსრკ) — 11,29 და 22,48. 400მ. მ.-ჟ.პერესი (საფრანგეთი) — 49,32. 800მ. ე.კოვაჩი — 1.59,01. 1500მ. დ.მელინტე — 4.00,83. 3000მ. ნ.კესუგი (ყველა — რუმინეთი) — 8.44,47. 10000მ. კ.ულრიში (გერმანია) — 31.03,62. 100მ. თარჯრბენი ლ.ნაროჟილენკო — 12,55. 400 მ. თარჯრბენი მ.პონომარიოვა (ორივე — სსრკ) — 54,42. 4X100მ. სსრკ — 42,51. 4X400მ. სსრკ — 3.21,77. სიმაღლე. ე.როდინა (სსრკ) — 1,98მ. სიგრძე. ჰ.დრეჰსლერი (გერმანია) — 7,20მ. ბირთვი. ნ.ლისოვსკაია (სსრკ) — 21,12მ. შუბი. ტ.სანდერსონი (დიდი ბრიტანეთი) — 65,18მ. გუნდური. 1. სსრკ — 118 ქულა; 2. გერმანია — 109; 3. დიდი ბრიტანეთი — 81.

საერთაშორისო ტურნირი. ჰელსინკი. ვაჟები. 400მ. 1. მ.ევერეტი (აშშ) — 44,57; 2. რ.ერნანდესი (კუბა) — 44,68. 800მ. ტ.მაკინი (დიდი ბრიტანეთი) — 1.46,05. 1500მ. ნ.მორსელი (ალჟირი) — 3.31,00 (მსოფლიოს საუკეთესო შედეგი ამ სეზონში); 2. ს.დოილი (ავსტრალია) — 3.32,79; 3. ა.შილე (სომალი) — 3.34,72. 5000მ. ჰ.სკაჰი (მაროკო) — 13.17,72; 2. ფ.ბიუ (ეთიოპია) — 13.21,7. 3000მ. წინაღობებით. უ.მუტვოლი (კენია) — 8.20,74. სიგრძე. მ.პაუელი (აშშ) — 840სმ. შუბი. ს.რეტი (ფინეთი) — 89,62.

ქალები. 100მ. ი.სერგეევა—პრივალოვა (სსრკ) — 11,01. 3000მ. პ.პლამერი (აშშ) — 8.51,10.

# ანა სმაშნოვა თხუთმეტი წლისაა...

უკანასკნელ დრომდე ჩოგბურთის სამყაროში ანა სმაშნოვაზე ცოტა ვინმეს თუ სმენოდა, ახლა მასზე ბევრს ლაპარაკობენ. ისრაელის ჩოგბურთის მოყვარულები კი დიდ იმედებსაც უკავშირებენ ამ გოგონას სახელს. თხუთმეტი წლის თელავიველმა ჩოგბურთელმა ყველას აჯობა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში იუნიორებს შორის (18 წლამდე).

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა ანას სპორტული ცხოვრება, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მისი ოჯახის ბედ-იღბალი. ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ სმაშნოვების ოჯახი (ეროვნებით ებრაელები არიან) მინსკში ცხოვრობდა, სადაც პატარა ანა მიწის კორტებზე სწავლობდა ჩოგბურთის თამაშს. სწრაფმა, ენერგიულმა გოგონამ (იგი სიმაღლით 156 სანტიმეტრია და 47 კილოგრამს იწონის) ორჯერ მოიგო სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა, ხოლო ევროპის ჩემპიონატში 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. სწორედ მაშინ მას დაადგა თვალი ისრაელის ქალთა ჩოგბურთის შეფმა ფრედი კრივინმა. მან შეძლო დაეყოლიებინა სმაშნოვები, სამუდამოდ საცხოვრებლად გადასულიყვნენ „აღთქმულ მიწაზე".

1990 წლის სექტემბრიდან ანა შლომო გლიკშტეინთან და ჰანს ფელიუსთან ვარჯიშობს. გლიკშტეინი მრავალი წლის მანძილზე პირველ ნომრად ითვლებოდა ისრაელის ნაკრებში, გუნდის კაპიტანი იყო დევისის თასის გათამაშებაში, ფელიუსი კი ქვეყნის ქალთა ნაკრების მწვრთნელია.

— ვერ დაგისახელებთ ელემენტს, რომლის შესრულებაც ანას არ წეეძლოს. იგი გამუდმებით სრულყოფისაკენ ისწრაფვის, თუმც ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლისაა, ჩოგბურთის მიმართ უაღრესად სერიოზულ, პროფესიულ დამოკიდებულებას იჩენს, — ამბობს შლომო გლიკშტეინი.

ანას ნიჭიერება შეუმჩნეველი არც ისრაელის საზღვრებს მიღმა დარჩენიათ. საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მან მიწვევა მიიღო გერმანიიდან. ბუნდესლიგის ერთ-ერთი საჩოგბურთო კლუბის ხელმძღვანელობა ანას მშობლებს საცხოვრებელსა და სამსახურს ჰპირდებოდა, თვით გოგონას კი სოლიდურ კონტრაქტს სთავაზობდა. მაგრამ სმაშნოვებმა უარი თქვეს ამ მაცდუნებელ წინადადებაზე...

# ამერიკელი ძილისგუდა

პირველი შეკითხვა, რომლითაც ჯონ პრაისმა მიმართა მაიამის ჰოსპიტალის ექიმს, ასეთი იყო: ვინ მოიგო ფეხბურთში ამერიკის საუნივერსიტეტო ლიგის ჩემპიონატი? რადგან ირგვლივ მყოფთაგან მის კითხვას ვერავინ უპასუხა, პრაისი იძულებული გახდა ადგილობრივი გაზეთის „მაიამი ჰერალდისათვის" მიემართა. „ახლავე გიპასუხებ, მაგაზე ადვილი რა არის, — გაისმა ხმა ყურმილში, — მაგრამ ამდენ ხანს სად იყავი?" „მეძინა" — ჩაიბურტყუნა ჯონმა...

არ დაიჯერებთ და, პრაისს მართლა ეძინა. ვირუსულმა ინფექციამ იგი ღრმა კომაში ჩააგდო. პრაისი მთელი 90 დღე უგონოდ იყო. ამ „ძილში" „გამოეპარა" შობაც, უახლოესი მეგობრის ქორწილიც, სპარსეთის ყურის ომიც და საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ნაწილიც საყვარელი გუნდის მონაწილეობით.

39 წლის პრაისი „სხვა სამყაროში გადასახლდა" გასული წლის დეკემბერში და მარტის დამლევს გამოფხიზლდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მედიცინის მუშაკები თავდაუზოგავად შრომობდნენ მის გადასარჩენად. მკურნალობის პროგრამაში შედიოდა პაციენტის საყვარელი მუსიკაც კი — „პინკ ფლოიდი".

— ჟურნალისტმა, როცა პრაისის პასუხი მოისმინა, იფიქრა, უთუოდ ვიღაც ახირებული რეკავსო, მაგრამ მაინც დაუსახელა შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული „კოლორადო". ჯონს ძალიან ეწყინა, რომ გამარჯვება მისმა გუნდმა ვერ მოიპოვა.

### ფეხბურთი

# როგორ ვიმოგზაურე საზღვარგარეთ უვიზოდ



კონსტანტინე ბესკოვი

ჩემი ეს მოგზაურობა მოეწყო ერთი საფეხბურთო კლუბის შემწეობით, რომელსაც იდუმალებით მოსილი ალმოსავლური სახელი — „ასმარალი" ჰქვია. რათა მკითხველისთვის ყველაფერი ნათელი იყოს, თავდაპირველად რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ერთ საშუალო საბჭოურ კლუბზე — „კრასნაია პრესნიაზე", რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ „ასმარალად" გარდაიქმნა. მისი თავგადასავალი კონკიას ზღაპარს მოგვაგონებს, კეთილმა ფერიამ დედინაცვლისგან მოჩაგრული ლატაკი გოგო პრინცესად რომ აქცია. ამ მრავალრიცხოვან კონკიათაგან საბჭოთა ფეხბურთში ერთ-ერთი მოსკოვის „კრასნაია პრესნიაც" იყო. 1989 წლის სეზონში ამ გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის პირველ ზონაში 22 მონაწილეს შორის მე-19 ადგილი დაიკავა. და აი, უცებ გამოჩნდა ერაყელი ბიზნესმენი ჰუსან ალ-ჰალიდი, რომელსაც უმაღლესი განათლება თურმე მოსკოვში მიუღია. იმ პერიოდისთვის, როცა „პერესტროიკად" წოდებულმა პროცესმა აპოგეას მიაღწია, ალ-ჰალიდამ რამდენიმე კომერციული ფირმა ჩამოაყალიბა, მერე კი შექმნა საბჭოურ-ბრიტანული საწარმო „ასმარალი", რომლის მრავალმხრივი საქმიანობაც ძალზე შორს არის ფეხბურთისაგან. და აი, შარშანდელი სეზონის წინ ერაყელმა ბიზნესმენმა, ფეხბურთის თავგამოდებულმა გულშემატკივარმა, იყიდა მეორე ლიგის კლუბი და მის ხელმძღვანელობას ერთი შეხედვით უტოპიური (მეტი რომ არ ვთქვათ) ამოცანა დაუსახა: სამ წელიწადში... უმაღლეს ლიგაში უნდა გახვიდეთო! გაინტერესებთ, რა მოხდა შემდეგ? გავიდა ერთი წელიწადი და „ასმარალმა" (ასე ჰქვია ახლა „კრასნაია პრესნიას") მეორე ლიგაში თითქმის იმავე შემადგენლობით მეცხრამეტე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა და გადავიდა ვრეთწოდებულ ბუფერულ ზონაში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ ასეთივე გიგანტური ნახტომით პირველ ლიგაში აპირებს მოხვედრას. რით აიხსნება გუნდის ესოდენ განსაცვიფრებელი წარმატებები? ნუთუ მხოლოდ იმით, რომ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ფული ჩეჩქივით აქვთ (თუ საბჭოური საზომით მივუდგებით, რასაკვირველია) და არც მდიდრული საჩუქრები აკლიათ? არა მარტო ამით, თუმცა მატერიალური მხარე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაშ, კიდევ რით? პირველ ყოვლისა სწორედ ეს უნდა გამერკვია, როცა რედაქციამ „ასმარალზე" მასალის მომზადება დამავალა. მართალი გითხრათ, თავიდან ამ დავალებას დიდი ენთუზიაზმით არ შევხვედრივარ: მეორე ლიგის თუნდაც საუკეთესო გუნდზე წერა უინტერესოდ მეჩვენა. მაგრამ დავალება დავალებაა და მეც საქმეს შევუდექი. სანამ გუნდის უფროსს, მოსკოვის „სპარტაკისა" და საკავშირო ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ალექსეი კორნეევს დავურეკავდი, მიამიტურად ვფიქრობდი, რომ იგი ცას ეწეოდა სიხარულით ჩემი ხმის გაგონებაზე. ის რომ ჟურნალისტმა, გაზეთის კორესპონდენტმა, რომელიღაც მეორე თანრიგის გუნდის წარმომადგენელთან შეხვედრა და საუბარი ისურვა, ჩემი ვარაუდით, მისთვის მეტად სასიამოვნო სიურპრიზი უნდა ყოფილიყო. მაგრამ... კორნეევმა მომისმინა, ბოდიში მომიხადა და თავაზიანად, დელიკატურად ამიხსნა, რომ გუნდის შესახებ ნებისმიერი მასალის გამოქვეყნების ნებართვას იძლევა მხოლოდ ერთი კაცი — პრეზიდენტი ჰუსან ალ-ჰალიდი. შემდეგ მან მითხრა ოფისის ტელეფონის ნომერი, მდივანი ქალის სახელი და მამის სახელი, მირჩია ალ-ჰალიდის ყოველი მოხსენიებისას სიტყვა „ბატონი" მეხმარა და არამც და არამც არ წამომცდენოდა საუბარში სიტყვა „ამხანაგი". ამ კონსულტაციების შემდეგ წარმატება მისურვა და ყურმილი დაკიდა. ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა ავკრიფე ოფისის ტელეფონის ნომერი. სხვადასხვა დონის მდივან ქალებთან ტელეფონით ურთიერთობის გამოცდილებამ ერთგვარი პირობითი რეფლექსი გამომიმუშავა: მიპასუხებენ თუ არა, ხულმოუთქმელად ვიწყებ ლაპარაკს, ვცდილობ მოვასწრო ჩემთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, სანამ გამომლანძღავენ ან სულაც ყურმილს დამიკიდებენ. ახლაც ასე მოვიქეცი, მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტად მოვინდომე და პასუხის მაგიერ გავიგონე:

— თუ არ შეწუხდებით, გაიმეორეთ, რა ბრძანეთ.

მეორე ცდა უფრო წარმატებული გამოდგა. მე ისევ წარვუდგინე თავი და თხოვნა გავუმეორე.

— სამწუხაროდ, ბატონი ალ-ჰალიდი ჯერ არ გახლავთ. იქნებ თქვენი ტელეფონის ნომერი დაგვიტოვოთ, ბატონო თბილელო?

ბატონო? ხომ არ მომეჩვენა? ასე ჩემთვის ჯერ არავის მოუმართავს (საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაღა თქმა უნდა). ეს თავაზიანი ტონი... ცოტა შევცბი, მაგრამ ტელეფონის ნომერი მაინც ვუკარნახე.

— გმადლობთ, ბატონო. როგორც კი ბატონი ალ-ჰალიდი მოვა, გაცნობებთ მის გადაწყვეტილებას.

რამდენიმე საათში მართლაც დამირეკეს ოფისიდან. ქალის იმავე სასიამოვნო ხმამ მაცნობა, რომ პრეზიდენტი მზად არის მიმიღოს ხვალ თავის რეზიდენციაში. ამასთან თავაზიანი ფორმით მაგრძნობინეს, რომ ბატონი ალ-ჰალიდი ძალიან მოუცლელი კაცია და ხუთ წუთზე მეტს ვერ დამითმობს, რომ ამ ხუთ წუთში უნდა მოვასწრო და ჩემი სტუმრობის მიზანი ავუხსნა.

... პრეზიდენტმა ჩემი საკითხი რამდენიმე წამში დადებითად გადაწყვიტა და მეორე დღეს მთელი საათნახევარი ვადევნებდი თვალს „ასმარალის" ვარჯიშს ცსკა-სა და საკავშირო ნაკრების ყოფილი მოთამაშის, 40-50-იანი წლების სახელგანთქმული თავდამსხმელის გრიგორი ფედოტოვის ვაჟის — ვლადიმირ ფედოტოვის ხელმძღვანელობით. (აქ აღწერილი ამბების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელად კონსტანტინე ბესკოვი დაინიშნა). ვარჯიშის დაწვრილებით აღწერას აქ არ მოვყვები. იმას კი ვიტყვი, რომ გამაოცა არაჩვეულებრივმა პუნქტუალურობამ და დისციპლინამ. ფეხბურთელები თავდადებით შრომობდნენ, გამუდმებით მოძრაობდნენ, ერთ ვარჯიშს მეორე ცვლიდა თითქმის შეუსვენებლად, უპაუზოდ. ჩანდა, რომ უჭირდათ, მაგრამ საყვედური არავის დასცდენია.

ვარჯიში დამთავრდა, სპორტსმენები წავიდ-წამოვიდნენ. მე და ფედოტოვი კი სასაუბროდ დარბაზში დავრჩით. დავრჩით, მაგრამ ვინ დაგვაცალა: დარბაზში ველური ყვირილით შემოიჭრა ბალახის ჰოკეის ქალთა გუნდი. უხვად გაისმოდა „მარილიანი" გამოთქმები, რომლითაც ასე მდიდარია რუსული ფოლკლორი. 20-22 წლის გოგოებს ოდნავაც არ მორიდებიათ არც მწვრთნელის, არც უცხო ადამიანისა. ჩვენ, მოწიფულ მამაკაცებს, შეგვრცხვა. ავდექით და გავედით დარბაზიდან. მწვრთნელის კაბინეტისკენ მიმავალს უნებურად გამიელვა ფიქრმა, რომ მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში ვარჯიშის მონაწილე სამი ათეული მამაკაცისგან არც ერთი სალანძღავი სიტყვა არ გამიგონია. „ეს შემთხვევით მოხდა თუ ქცევის ნორმა გაქვთ ასეთი?" — ვკითხე მწვრთნელს. ამ და ბევრ სხვა ჩემთვის საინტერესო კითხვაზე საფუძვლიანი პასუხები გამცეს ფედოტოვმა და გუნდის უფროსმა კორნეევმა, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერთდა.

გუნდის შემადგენლობაზე ლაპარაკი ალბათ არ არის აუცილებელი. აბა, რას ეტყვის ფეხბურთის მოყვარულებს, ვთქვათ, ეს გვარები: კომაროვი, კარკოვი, მეხოვი, კოროლიოვი. სრულიად არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. თუმცა „ასმარალში" ცნობილი ფეხბურთელებიც არიან. სეზონის დაწყების წინ მიიწვიეს 38 წლის იური გავრილოვი, რომელმაც დაამთავრა გამოსვლები ფინეთში. ფედოტოვი ამბობს, რომ მოთამაშეებმა უნდა ისწავლონ ჭკვიანური, შემოქმედებითი, ინტელექტუალური ფეხბურთი. ამ თვალსაზრისით გავრილოვის გვერდით თამაში ბევრს მისცემს მათ. თანაც, გავრილოვი იმ ფეხბურთელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც შეუძლიათ ადგილიდან ფეხმოუცვლელადაც კი მატჩის განმავლობაში ორი-სამი ისეთი პასი შეასრულონ, მთლიანად შეცვალონ თამაშის მსვლელობა. ხელფასზე არაფერი მკითხავს: პროფესიონალთა შორის ასეთი შეკითხვები უტაქტობად ითვლება. თუმცა პრესაში უკვე წერდნენ, რომ ფეხბურთელები პრემიის ჩათვლით თვეში 6 ათას მანეთამდე იღებენ, სეზონის წარმატებით დამთავრების შემდეგ კი თითოეულმა ფეხბურთელმა მანქანაც მიიღო. წლეულს კიდევ მეტს მიიღებენ, რადგან გუნდს უფრო რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. თავისთავად იგულისხმება, რომ მწვრთნელები თავიანთ შეგირდებზე ბევრად მეტს ღებულობენ, თანაც წილს — ვალუტით. კონტრაქტი ინდივიდუალურად იდება და არც ერთმა ფეხბურთელმა არ უნდა იცოდეს, რამდენს იღებენ გუნდის სხვა წევრები. არსებობს წახალისებისა და ჯარიმის ფართო სისტემა. პრემიებს იძლევიან გოლისთვის, საგოლე გადაცემისთვის, პენალტის მოგერიებისთვის, გამარჯვებისთვის, მოედანზე გუნდისთვის სასარგებლო მოქმედებისთვის... ჯარიმაც არ არის ნაკლები. თანხა ერთი თვის ხელფასის 5-დან 30 პროცენტამდე მერყეობს. სპორტსმენს აჯარიმებენ ვარჯიშზე დაგვიანებისათვის, მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენისათვის (თუ მსგავსი რამ განმეორდა, ფეხბურთელი გაირიცხება გუნდიდან), არაეთიკური ქცევისა და უცენზურო, სალანძღავი სიტყვებისათვის მეტოქის, მსაჯის, თვით საკუთარი პარტნიორის მისამართითაც კი, წითელი ან ყვითელი ბარათისათვის. მაგრამ ამ საკითხს, ასე ვთქვათ, შემოქმედებითად უდგებიან. თუ ბარათი მართლა დაიმსახურა ფეხბურთელმა, ჯარიმა გარდაუვალია. თუ მსაჯმა გამოიჩინა არაობიექტურობა, ფეხბურთელს არავინ დასჯის. შეიძლება ამგვარი რამ მოხდეს: მოთამაშემ დაუშვა უხეში ტაქტიკური ან ტექნიკური შეცდომა, რის შედეგადაც მეტოქეს საშუალება მიეცა მეკარის პირისპირ დარჩენილიყო. ამ დროს მეორე მცველი იძულებული გახდა უხეში ილეთი გამოეყენებინა და ბარათმაც არ დააყოვნა... ასეთ შემთხვევაში ისჯება არა ის, ვინც წესი დაარღვია, არამედ ის, ვისი მიზეზითაც საგოლე სიტუაცია შეიქმნა. ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან ნათელია, რატომ არ არღვევენ ფეხბურთელები რეჟიმს, რატომ არ ბილწსიტყვაობენ, რატომ აქცევენ ყურადღებას თავიანთ ჯანმრთელობას... ამიტომ აღარ არის აუცილებელი მათზე „ფხიზელი" მეთვალყურეობა. ფეხბურთელები შინ ცხოვრობენ, იკრიბებიან მხოლოდ საწვრთნელ ვარჯიშზე ან მატჩის წინ. მოთამაშეებისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მკვეთრად არის გამიჯნული. მწვრთნელი განთავისუფლებულია ყველა ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო თუ სხვა საკითხისაგან, რასაც ფეხბურთთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. მისი უშუალო მოვალეობაა გუნდის დაკომპლექტება, საწვრთნელი პროცესის ხელმძღვანელობა, გუნდის შემადგენლობისა და ტაქტიკის განსაზღვრა კონკრეტული მატჩისათვის. მწვრთნელის საქმეში ჩარევის უფლება თვით პრეზიდენტსაც კი არა აქვს, რაც შეეხება პრეზიდენტს, იგი გუნდს უსახავს კონკრეტულ ამოცანას და უქმნის ყველა პირობას მისი შესრულებისთვის.

შედეგისათვის პასუხისმგებლობა მოთამაშეებს და, პირველ ყოვლისა, მწვრთნელს ეკისრებათ. თუ საერთო სტრატეგიული ამოცანა არ შესრულდა, მწვრთნელთან კონტრაქტი შეიძლება დაირღვეს. არ შემიძლია არაფერი ვთქვა კიდევ ერთი, ფეხბურთელებისთვის მეტად მნიშვნელოვან დეტალზე: ტრავმის შემთხვევაში მოთამაშეს მთელი მკურნალობისა და აღდგენითი პერიოდის მანძილზე კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასი ეძლევა. თუ ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ფეხბურთელმა თამაში ვეღარ შეძლო, მას სამუშაო ეძლევა „ასმარალის" ვრცელი სისტემის ერთ-ერთ ფირმაში. იმედი მაქვს, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „მკითხველი მოტყუების ცდად არ ჩამითვლის ამ წერილის სათაურს. ამასთან, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც გაირკვა, რა ედო საფუძვლად „კრასნაია პრესნიას" განსაცვიფრებელ წინსვლას და სახეცვლილებას.

— რუსულად „ასმარალი" ნათელ მომავალს ნიშნავს, — მითხრა კორნეევმა დამშვიდობებისას, როცა გუნდის ახალი სახელწოდების ახსნა ვთხოვე.

ამიერიდან მე „ასმარალის" გულშემატკივარი ვარ.

**აქსელ თბილელი,**
„სარბიელის" საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში.

# უვარსკვლავო გუნდი ვარსკვლავი მწვრთნელით

იანვრის მიწურულს გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის შემაჯამებელ მიმოხილვაში ჩვენი გაზეთი წერდა: „ერთი რამ ახლავე ცხადია: ჩემპიონობისთვის სამი გუნდი იბრძვის — „ვერდერი", „ბაიერნი" და „კაიზერსლაუტერნი" („სარბიელი" №3, 25 იანვარი).

მართალაც, ამ სამი გუნდის დავაში ჩარევა მეორე წრეში ვერავინ მოახერხა. „სარბიელის" მკითხველებს კარგად ახსოვთ რომ 1990-1991 წლების სეზონში ბუნდესლიგაში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: „კაიზერსლაუტერნი", „ბაიერნი", „ვერდერი"; ახსოვთ ისიც, რომ ბრემენელები ადრევე ჩამოშორდნენ ოქროს მედლებისთვის ბრძოლას, ხოლო კაიზერსლაუტერნელებსა და მიუნხენელებს ბოლო ტურამდე დაძაბულობაში ჰყავდათ თავიანთი გულშემატკივრები. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 34-ე ტურის წინ „კაიზერსლაუტერნი" ორი ქულით უსწრებდა „ბაიერნს" და ჩემპიონატში გასამარჯვებლად „კიოლნთან" შეხვედრაში ერთი ქულაც ჰყოფნიდა, ბევრ მიმომხილველსა თუ სპეციალისტს მაინც მიუნხენელთა წარმატებისა სწამდა. თითქოს ვერავის დაეჯერებინა „კაიზერსლაუტერნის" გამარჯვება, გუნდისა, რომლის შემადგენლობაშიც, კაცმა რომ თქვას, ერთ ვარსკვლავსაც ვერ მოძებნით და რომელიც შარშან ძლივს გადაურჩა მეორე ლიგაში ჩამოქვეითებას. ერთი რამეც არის: „ბაიერნის" მარცხს ძნელად ეგუებიან არა მარტო მისი ქომაგები, არამედ ძნელად იჯერებენ მისი ავისმოსურნენიც კი. ასეთნი, სხვათა შორის, მიუნხენელებს საკმარისად ჰყავთ. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე ერთ საგულისხმო ინფორმაციასაც გაგაცნობთ: ერთმა გაზეთმა ამას წინათ თავის მკითხველებს ორი ასეთი შეკითხვით მიმართა — ყველაზე მეტად ბუნდესლიგის რომელი გუნდი გიყვართ და რომელი გძულთო: „ბაიერნმა" ორივე შემთხვევაში ყველაზე მეტი ხმა დააგროვა!

მთელ ევროპაში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ტელერადიოსადგურმა ჩემპიონატის ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე, როცა „კაიზერსლაუტერნი" მთელი ოთხი ქულით უსწრებდა „ბაიერნს", თავის ტელემაყურებლებსა და რადიომსმენელებს ჰკითხა, თქვენი აზრით ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონიო. ოთხქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად 53 პროცენტმა „ბაიერნს" უწინასწარმეტყველა გამარჯვება!

ახლა, ჩემპიონატის დამთავრებიდან თითქმის სამი კვირის შემდეგ ვნებები ასე თუ ისე ჩამცხრალია. თითქოს უკვე ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ რაინლანდ-პფალცში მდებარე პატარა ქალაქ კაიზერსლაუტერნის (მოსახლეობა 100000 არ აღემატება) უვარსკვლავო გუნდი შემოდგომაზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაერთიანებული გერმანიის სახელს დაიცავს.

15 ივნისს საშუალება მომეცა დავსწრებოდი „კაიზერსლაუტერნისა" და „კიოლნის" შეხვედრას, რომელშიც ოქროს მედლების ბედი უნდა გარკვეულიყო. მატჩის აღწერას არ შევუდგები, მის მსვლელობაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს — 6:2 სტუმართა სასარგებლოდ. აი ის კი, რაც თამაშის მიწურულს კიოლნის „მიუნგერსდორფერშტადიონის" ტრიბუნებზე ხდებოდა, ნამდვილად იმსახურებს აღწერას. ყველაფერი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე დაიწყო. ამ დროისთვის ახალი ჩემპიონი დიდი ანგარიშით (5:2) იგებდა და, უნდა ვივარაუდოთ, მოუთმენლად ელოდა თამაშის დამთავრების ნიშანს. ამასობაში ასეულობით „კაიზერსლაუტერნის" ქომაგს (ისინი ვერც რკინის მოაჯირმა შეაჩერა და ვერც ღრმა თხრილმა) მინდვრისთვის ალყა შემოერტყა. ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რასაც შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა შეხვედრის, შესაბამისად კი მთელი ჩემპიონატის, საბოლოო შედეგი. 89-ე წუთზე სტუმართა ნახევარმცველი შუპი აშკარად წინდაუხედავად მოიქცა და „კიოლნის" კარში მეექვსე გოლი გაიტანა. რაღა გააჩერებდა ისედაც ზომაზე მეტად აღგზნებულ კაიზერსლაუტერნელ გულშემატკივრებს! სულ რამდენიმე წამში საფეხბურთო მინდვრის მწვანე მართკუთხედი წითლად შეიღება. არა, სისხლი, კიდევ კარგი, არ დაღვრილა, უბრალოდ საყვარელი კლუბის წითელ მაისურებში გამოწყობილ ქომაგთა რამდენიმე ათასიანმა ჯარმა მთელი მინდორი თვალის დახამხამებაში დაფარა. მხოლოდ რადიოთი წესრიგისკენ მოწოდების შემდეგ დატოვეს მინდორი გულშემატკივრებმა, მაგრამ თამაში აღარ განახლებულა — მსაჯმა საფინალო სასტვენი მისცა, რითაც ახალი ჩემპიონის დაბადება გვაუწყა.

„გამოგიტყდებით, ძალიან გამახარა „კაიზერსლაუტერნის" ჩემპიონობამ, — მითხრა ბატონმა ჰაიმანმა. — ეს გუნდი მთელი სეზონის მანძილზე მოწინავეთა შორის იყო და დამსახურებულად მოიპოვა ოქროს მედლები. შესაძლოა ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემპიონთა მწვრთნელს კარლჰაინც ფელდკამპს. იგი მუდამ იმეორებს, საუკეთესო დაცვა თავდასხმააო და ამ სიტყვების სისწორეს საქმითაც ადასტურებს. ავიღოთ, თუნდაც, ბოლო მატჩი კელნში, სადაც სტუმრებს ქულაც ჰყოფნიდათ ჩემპიონობის მოსაპოვებლად. ამ ქულის აღებაზე, რომ ეთამაშათ, ვინ იცის რით დამთავრდებოდა ყველაფერი. „კაიზერსლაუტერნმა" პირველივე წუთებიდან აქტიურად შეუტია მეტოქეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ღირსეული ჩემპიონია. 1951 და 1953 წლებში ეს გუნდი ორჯერ იყო გფრ-ის ჩემპიონი და ახლა, 38 წლის მერე, მესამედ მოიპოვა უძლიერესის წოდება. გარდა ამისა ფელდკამპმა და მისმა ბიჭებმა ერთი საგულისხმო რეკორდიც დაამყარეს. ბუნდესლიგის ისტორიაში, 1963 წლიდან მოყოლებული ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთეს წინა სეზონთან შედარებით: შარშანდელი მეთორმეტე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლეს. ის კი არა, შარშან გუნდი გავარდნის პირასაც კი იყო მისული. ზუსტად 16 თვის წინ მწვრთნელად მოვლენილმა ფელდკამპმა „კაიზერსლაუტერნს" არა მარტო შეუნარჩუნა ადგილი პირველ ლიგაში, არამედ ეროვნული თასიც მოაპოვებინა. ახლა მის გუნდს უფრო დიდი წარმატება ხვდა. საინტერესოა, რომ ფელდკამპი ამ 10-12 წლის წინათაც ედგა სათავეში „კაიზერსლაუტერნს", რომელმაც 1979-82 წლებში მისი ხელმძღვანელობით ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა უეფა-ს თასის საგზური. ერთი სიტყვით, ფელდკამპის წარმატება მართლაც აღფრთოვანებას იმსახურებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კაიზერსლაუტერნი" ფინანსური და სხვა შესაძლებლობებითაც ჩამორჩება ბუნდესლიგის კლუბებს. ვფიქრობ ეს საუცხოო მაგალითია ხელმოკლე კლუბებისთვის, კარგი მაგალითია მათთვისაც, ვისაც ჰგონია, რომ წარმატების მოპოვება მხოლოდ მილიონებით შეძენილი ვარსკვლავების წყალობით შეიძლება. „კაიზერსლაუტერნმა" დაამტკიცა რომ ასე არ არის.

კიდევ ერთი მწვრთნელი, რომლის მისამართითაც წლეულს არაერთი საქებარი სიტყვა ითქვა „ვერდერის" ხელმძღვანელი ოტო რეჰაგელი გახლავთ.



კარლჰაინც ფელდკამპი

„ვერდერმა", გარდა იმისა, რომ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, 22 ივნისს გერმანიის თასიც მოიპოვა. საინტერესოა, რომ „ვერდერმა" შარშანაც და შარშანწინაც მიაღწია ფინალს, მაგრამ ორჯერვე ხელი მოეცარა. ბრემენელთა მესამე ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, თუმცა თვით ფინალი („ვერდერი" — „კიოლნი") ვერ გამოდგა მიმზიდველი. „კიკერმა" იგი თასის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ულიმღამო ფინალადაც კი მონათლა. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ (1:1) დამთავრდა და ბრემენელებმა პენალტების უფრო ზუსტი შესრულების წყალობით დაისაკუთრეს თასი. უდო ლატეკისა და პიერ ლიტბარსკის „კიოლნმა" კი თავისი ქომაგები ვერაფრით გაახარა. მომავალ სეზონში კიოლნელებს მხოლოდ შიდაურ ასპარეზზე მოუწევთ გამოსვლა.

სეზონი დამთავრდა, ჯილდოები დარიგდა, მაგრამ სპორტული პრესის ფურცლებზე ფეხბურთი მაინც მთავარი თემაა. არცაა გასაკვირი: გრძელდება გერმანელ „ვარსკვლავთა" მასობრივი გადაბარგება იტალიაში. მილანის „ინტერმა", მაგალითად, მათეუსის, კლინსმანისა და ბრემეს შემდეგ მეოთხე გერმანელი მოთამაშე შეიძინა, „ჰამბურგის" ყოფილი თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი, რომელმაც შარშანდელი სეზონი ვენის „აუსტრიაში" გატარა. გაცილებით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სხვა ორმა ცნობამ. მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა, 25 წლის იურგენ კოლერმა ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს ტურინის „იუვენტუსთან", რისთვისაც „ბაიერნი" ტურინელებისგან 11 მილიონ მარკას მიიღებს. კიდევ უფრო მეტს — 15 მილიონ მარკას მიიღებს „ჰამბურგი" თავის საუკეთესო თავდამსხმელში თომას დოლში. დოლი 1994 წლამდე რომის „ლაციოს" ღირსებას დაიცავს. ახლა გერმანიის ეროვნული ნაკრები თითქმის სრული შემადგენლობით (მეკარე ბოდო ილგნერის გარდა) იტალიის სხვადასხვა კლუბებშია გაფანტული. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ბუნდესლიგის მომდევნო ჩემპიონატები იქნებ აღარც იყოს ისეთი საინტერესო და მიმზიდველი, როგორიც წლევანდელი იყო.

დავით კაკაბაძე.
„სარბიელის" საკუთარი კორესპონდენტი.
კიოლნი.

## ფეხბურთის რუკასთან

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ფეხბურთის ფედერაციამ აუკრძალა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელს რობერტ პროსინეჩკის მადრიდის „რეალში" გადასვლა. ერთი კვირის წინ ესპანეთის კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ პროსინეჩკისთან ხუთწლიანი ხელშეკრულება დაიდო. კლუბის პრეზიდენტი რამონ მენდოსა გულშემატკივრებს დაპირდა, რომ ფეხბურთელი „რეალში" უკვე აგვისტოდან ითამაშებდა და ტრადიციულ საზაფხულო ტურნირებშიც კი მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ბელგრადიდან მიიღო წერილი, რომელშიც იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია უკრძალავს პროსინეჩკის ესპანეთში წასვლას. წერილში აღნიშნულია, რომ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წესის თანახმად უცხოეთში თამაში მხოლოდ 25 წელს მიღწეულ ფეხბურთელს შეუძლია, პროსინეჩკი კი 22 წლისაა. ასე რომ, პროსინეჩკი „რეალში" გადასვლას 1994 წლის 1 ივნისამდე ვერ მოახერხებს. წერილში იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია აგრეთვე თხოვს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მიიღოს ზომები „რეალის" მიმართ, თუკი კლუბი არ დაარღვევს ხელშეკრულებას პროსინეჩკისთან.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ თასი მადრიდის „ატლეტიკომ" მოიპოვა. ფინალში, რომელიც მადრიდში გაიმართა, „ატლეტიკომ" დაამარცხა „მალიორკა" 1:0, გოლი დამატებით დროში, მატჩის 110-ე წუთზე ალფრედომ გაიტანა. „ატლეტიკო" თასების თასზე იასპარეზებს, ხოლო ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასულმა „ოვიედომ" უეფა-ს თასზე გამოსვლის უფლება მიიღო.**

**ესპანეთის რამდენიმე გუნდს სექტემბრიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. ბარსელონის „ესპანიოლს" უხელმძღვანელებს ლუბომირ პეტროვიჩი, რომელიც აქამდე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ედგა სათავეში. „ესპანიოლის" მწვრთნელმა ლუის არაგონესმა მადრიდის „ატლეტიკოში" გადაინაცვლა, ხოლო „ატლეტიკოს" მწვრთნელი, პორტუგალიელი ტომისლავ ივიჩი საფრანგეთის „პარი სენჟერმენს" უხელმძღვანელებს.**

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ნაკრების ნახევარმცველმა ნორმან უაითსაიდმა თავი დაანება ფეხბურთს. 26 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ინგლისის „ევერტონში" თამაშობდა, მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო.

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ჩემპიონატის მეორე წრეში „ბოკა ხუნიორსმა" გაიმარჯვა. ჩემპიონის გამოსავლენად ორი შეხვედრისაგან შემდგარი სუპერფინალი გაიმართება, რომელშიც „ბოკა ხუნიორსი" პირველი წრის გამარჯვებულს „ნიუელს ოლდ ბოისს" შეხვდება.**

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ თასი „ნორჩოპინგმა" მოიპოვა. ფინალში, სტოკჰოლმში, „ნორჩოპინგმა" მოუგო „ოსტერსს" (4:1).

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ბუნდესლიგის საგზური შტუტგარტის „კიკერსმა" მოიპოვა. გადასახვლელ მატჩებში მეორე ლიგის „კიკერსმა" პირველ ლიგაში მე-16 ადგილზე გასული „ზანქტ-პაული" დაამარცხა (1:1, 3:1).**

კავკასიის ბირჟა

ბროკერების სკოლა თბილისში

1991 წლის 8-დან 12 ივლისამდე

სკოლაში მეცადინეობებს უძღვებიან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირების სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები, რომლებსაც საზღვარგარეთის ბირჟებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

ლექციების თემები
საზღვარგარეთული გამოცდილება
ბირჟის კოტირებები (ბირჟის კოტირების მეთოდები).
საბირჟო გარიგებების ანგარიშსწორება.
საბირჟო ანგარიშსწორება გარიგების დროს.
საბროკერო კანტორების ჩამოყალიბება.
სასაქონლო ბირჟის შექმნა, საბირჟო კანტორების ჩამოყალიბება.
ბირჟის განვითარების პერსპექტივები
თეორიულ ცოდნას განამტკიცებს პრაქტიკული სემინარები და საქმიანი თამაშობანი.

სწავლა ფასიანია
კურსი 450 მან. ღირს.

შეკვეთებს ბროკერის სკოლის კურსებზე მონაწილეობისათვის ღებულობს „კავკასიის ბირჟის" საინფორმაციო ცენტრი. ფულის შეტანა აუცილებელია კომერციულ ბანკ „მერანში" №000161213, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო, თბილისი МФО 521006.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 72.
ტელ. 38-46-90.

კავკასიის ბირჟა

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა"
სარეკლამო სააგენტო „მე-მე-ნო"

# VII ეტაპი (7 ივლისი)

## საფრანგეთი




1990 — ალენ პროსტი (საფრანგეთი)
1989 — ალენ პროსტი (საფრანგეთი)
1988 — ალენ პროსტი (საფრანგეთი)
1987 — ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი)
1986 — ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი)

ფორმულა 1 ავტორბოლაში საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშება წელს ახალსახლობას აღნიშნავს. დებიუტი ზეგ შედგება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, მანი-კურში აგებულ ტრასაზე, რომლის სიგრძეა 4271მ. პილოტებს რბოლისას მოუწევთ 307,5კმ-ის გავლა (72 წრე). ახალმა ტრასამ შეცვალა პოლ რიკარის სახელობის მოძველებული ავტოდრომი ლე კასტელეში.

სხვათაშორის, სწორედ საფრანგეთში გაჩნდა საუკუნის დასაწყისში ცნება „გრან პრის რბოლები" და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება. ფორმულა 1-ის ყოველწლიური ეტაპები ლე-მანის საქვეყნოდ ცნობილ 24-საათიან ავტომარათონთან ერთად მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება.

ნიშანდობლივია, რომ „ბებერ" პოლ რიკარზე ყველაზე მეტჯერ წარმატებას მიაღწია „ნაპოლეონმა" სენ-შამონიდან, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ალენ პროსტმა — მან ოთხჯერ შესძლო თავისი ქვეყნის დიდი პრიზის მოგება.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო პროსტის შარშანდელი გამარჯვება — ეს გახლდათ „ფერარის" საიუბილეო, მე-100 მოგებული ეტაპი და ფრანგი პილოტის რიგით 42-ე ტრიუმფი. ამჟამად „ფერარის" აქტივში უკვე 103 გრან პრია, პროსტმა კი თავისი მიღწევა 44-მდე გაზარდა. როგორც ეტყობა, ეს ორი რეკორდი კარგა ხანს ხელუხლებელი იქნება.




ფორმულაში ასპარეზობის 8 წლის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ შესძლო საფრანგეთში გამარჯვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ.

# სიყვარული მსხვერპლს თხოულობს, მარტინა!

მარტინა ნავრატილოვამ ტრადიცია დაარღვია: უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე უიმბლდონის ტურნირზე იგი პირველად ჩამოვიდა თავისი მეგობრის, მომხიბლავი ჯუდი ნელსონის გარეშე. ჩოგბურთელის ასეთმა სიმარტოვემ პიკანტური ინტერესის ახალი „აფეთქება" გამოიწვია, მაგრამ თავად მარტინა ევროპაში არ ამხელს თავის საიდუმლოებას. ამავე დროს, ჩოგბურთის მოყვარულნი ამერიკაში ინტერესით მოელიან მომავალ სასამართლო პროცესს, რომელიც უიმბლდონის ტურნირის ცხრაგზის გამარჯვებულს... გალარიბებით ემუქრება.

1984 წელს მარტინა ნავრატილოვა დაუმეგობრდა მშვენიერ ჯუდი ნელსონს, წარსულში „მის ტეხასის" კონკურსში გამარჯვებულს. მეგობრობა თანდათან სიყვარულში გადაიზარდა და ისინი მრავალი წლით განუყრელნი დარჩნენ. ჯუდი ყველგან დაყვებოდა მარტინას, თავის მხრივ, მარტინა ღირსეულად აფასებდა „მეუღლის" სილამაზეს და იმ ოჯახურ სიმყუდროვეს, რომელსაც ჯუდი უქმნიდა. მათი ურთიერთკავშირი იმდენად მყარი იყო, რომ ნელსონი გაეყარა კიდეც თავის ქმარს, რომლისგანაც მას ორი ვაჟი ჰყავს. ჯუდი და მარტინა ერთად ზრდიდნენ ბავშვებს, რომლებიც ნავრატილოვას „მამას" ეძახდნენ.

„დაქალებმა" გადაწყვიტეს დაეკანონებინათ თავიანთი ურთიერთობა, და 1986 წელს ტეხასის სასამართლომ გაფორმა შესაბამისი ხელშეკრულება. მასში, კერძოდ, ჩაწერილი იყო: „მხარეები იღებენ პარტნიორობის ვალდებულებას და, იმ შემთხვევაში, თუ მათი კავშირი დაირღვევა, ყველაფერი, რასაც ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძენენ, გაიყოფა მხარეებს შორის".

ოჯახური იდილია ხანგრძლივი ვერ გამოდგა. არავინ იცის, მარტინამ სხვა მეგობარი გაიჩინა თუ ჯუდიმ მონახა ახალი კერპი. იქნებ მობეზრდათ კიდეც ერთმანეთი. ასეა თუ ისე, აპრილში, მარტინამ განუცხადა ჯუდის: „დროა დავშორდეთ!".

სწორედ მაშინ ისარგებლა ნელსონმა იმ ხელშეკრულებით და ტეხასის ქალაქ ფორტ-უარტის სასამართლოს მიმართა. ჯუდი ნავრატილოვასაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებას მოითხოვდა... „საქმე ეხება ხუთიდან ათ მილიონამდე დოლარს, რომელიც ნავრატილოვამ ჩემს კლიენტს უნდა გადაუხადოს, ამბობს ნელსონის ადვოკატი ჯერი ლოფტინი.

აღსანიშნავია, რომ თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე ნავრატილოვამ მარტო ტურნირებიდან მიიღო 16 მილიონი დოლარი. გარდა ამისა, მას აქვს 625 და 560 ათას დოლარად შეფასებული ორი ვილა.

ამასობაში პროტესტი განაცხადა სახელგანთქმული ჩოგბურთელის ადვოკატმა მაიკ მაკარლიმ. მან სასამართლოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვს ლოფტინის გადადგომას. „იგი ადრე ნავრატილოვას ადვოკატი იყო, — განაცხადა მაკარლიმ, — მას არა აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების უფლება ჩემი კლიენტის საწინააღმდეგოდ".

სასამართლოს პირველი სხდომა დანიშნული იყო 20 ივნისისათვის, მაგრამ ჩოგბურთელის თხოვნით გადაიდო. საქმე ის არის, რომ მარტინა ნავრატილოვა ლონდონში უიმბლდონის ტურნირზე გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ამჯერად ევროპაში იგი მარტო ჩამოვიდა...

ამერიკული პრესის მიხედვით,
**სოსო დათიკაშვილი,**
„სარბიელის" კორესპონდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.



სურათზე: მარტინა ნავრატილოვა (მარცხნივ) და ჯუდი ნელსონი.

# მაიკ ტაისონი — №1 პრეტენდენტი

პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონმა ამერიკელმა მაიკ ტაისონმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა პლანეტის უძლიერესი მძიმეწონოსანის სახელის დასაბრუნებლად. ახლა მას უკვე ვერავინ შეუშლის ხელს ამ ტიტულისთვის შეებრძოლოს ახლანდელ ჩემპიონს, თავის თანამემამულე ევანდერ ჰოლიფილდს.

28 ივნისამდე ასეთივე იმედს ატარებდა გულში კანადელი დონოვან რადოკი, თუმცა მისი იმედები ისევ „დაიმსხვრა" მეორე ცდაზე. პირველად ტაისონი და რადოკი მთავარი პრეტენდენტის უფლების მოსაპოვებლად 18 მარტს შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ მე-7 რაუნდში არბიტრმა ამერიკელის აშკარა უპირატესობა აღნიშნა და ბრძოლა შეწყვიტა. რადოკის „გუნდმა" მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა და მატჩ-რევანშის ორგანიზება მოითხოვა. ტაისონმა გამოწვევა მიიღო...

გასულ პარასკევს ისინი კვლავ შეეჭიდნენ ერთმანეთს ლას-ვეგასში, ოტელ „მირაჟის" რინგზე. ბრძოლა, რომელიც 12 რაუნდი გაგრძელდა, სასტიკი გამოდგა. ორივე მოკრივეს არაერთი უძლიერესი დარტყმის გაძლება მოუხდა. აქედან ტაისონის ორმა საშინელი ძალის დარტყმამ მიზანს მიაღწია — მეორე და მეოთხე რაუნდებში რადოკი ნოკდაუნში აღმოჩნდა. მაგრამ „ჯიუტმა" კანადელმა შესძლო ორჯერვე ფეხზე წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება. სამივე გვერდითმა მსაჯმა ერთხმად მისცა უპირატესობა ამერიკელს.

— ბოლო დროს ჩემთვის ეს ყველაზე მძიმე ბრძოლა იყო — თქვა მატჩის შემდეგ ტაისონმა, — რადოკი გააფთრებით იბრძოდა და კარგად ვიგრძენი მისი გამანადგურებელი დარტყმების ძალა. მაგრამ ახლა ყველაფერი უკანაა და მიხარია, რომ მოვახერხე გამარჯვება და მივუახლოვდი მთავარ მატჩს.

ჰოლიფილდისა და ტაისონის შეხვედრა, წინასწარი მონაცემებით, ნოემბრისთვისაა დანიშნული.

**კახა მაჭავარიანი**



## აქეთური, იქითური...

მსოფლიოს ექსჩემპიონი მეორე მსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, არგენტინელი უბალდო საკო უახლოეს ხანაში სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. იგი მარ-დელ-პლატაში დააკავა ადგილობრივმა პოლიციამ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩხრეკის დროს მოკრივეს ავტომანქანაში ერთი კილოგრამი კოკაინი უპოვეს.

■ ■ ■

კუნძულ მენის წრიულ გზატკეცილზე მოტორბოლის დროს მოხდა ავარია, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა: 27 წლის ინგლისელმა მოტოციკლისტმა იან იანგმა საწვრთნელ სერიაში საათში 192კმ სიჩქარე განავითარა, მაგრამ მანქანა ველარ დაიმორჩილა და მეტოქის მოტოციკლს შეასკდა. იანი დაიღუპა. იგი ამ კუნძულის ურთულესი, 60-კილომეტრიანი სამთო ტრასის 187-ე მსხვერპლია.

■ ■ ■

ქალაქ ლიონის მერიაში გაიხსნა ფრანგი მხატვრის კლოდანრის ნამუშევრების გამოფენა. ანრის ბევრი ნახატი სპორტულ თემას ეძღვნება. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა სერია საერთო სათაურით „დიუშენეები". იგი ეძღვნება ფრანგ ფიგურისტებს, მსოფლიო ჩემპიონებს ყინულზე ცეკვაში და-ძმა დიუშენეებს.

■ ■ ■

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს შეჯიბრებათა კალენდრის გაფართოება. კერძოდ, გადაწყდა მოეწყოს ევროპის ჩემპიონატი 22 წლამდე ასაკის კალათბურთელებისათვის. პირველი ასეთი ტურნირი საბერძნეთში ჩატარდება 1992 წლის 12-19 ივლისს.

■ ■ ■

ჩეხოსლოვაკეთში სულ უფრო ძლიერდება ბრძოლა სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ. შეიქმნა ანტისადოპინგო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იმიკლოშკო. კომიტეტში შევიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის და ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განვითარების სფეროში მოღვაწეობენ.

■ ■ ■

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ თავის ოჯახში მიიღო კიდევ შვიდი ახალი წევრი: კაბო-ვერდეს (მწვანე კონცხის კუნძულები), კოტ დ' ივუარის, ჰონდურასის, მონაკოს, შრი-ლანკის, ნამიბიისა და სენეგალის ეროვნული ორგანიზაციები. ამიერიდან ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაში 99 ეროვნული ფედერაცია იქნება გაერთიანებული.

■ ■ ■

როგორც „სარბიელი" იუწყებოდა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მფრინავი მოთხილამურე მატი ნიუკანენი გარიცხეს ფინეთის ეროვნული ნაკრებიდან ხშირი სმისათვის. მაგრამ სპორტსმენს განზრახული აქვს კვლავ დაიბრუნოს თავისი სახელი და მიიღო კიდეც ნებართვა ცალკე ივარჯიშოს. 27 წლის ნიუკანენმა უკვე დაიწყო წვრთნა ჰინტერცარტენის, ბერხტესგადენის და შტამსის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინებზე. მას იმედი აქვს, რომ 1992-წელს მონაწილეობას მიიღებს ალბერვილის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში.

აქეთური, იქითური...

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

# „სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.80.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-98.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ჭორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟულუხაძე.